# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 აპრილი 2007 №82 (3005)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 20 | 15 | 4 | 1 | 45:6 | 49 |
| დინამო | 20 | 15 | 1 | 4 | 41:17 | 46 |
| ამერი | 20 | 13 | 4 | 3 | 35:12 | 43 |
| ზესტაფონი | 20 | 12 | 7 | 1 | 38:8 | 43 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 11 | 6 | 3 | 38:23 | 39 |
| სიონი | 20 | 10 | 2 | 8 | 25:17 | 32 |
| ტორპედო | 20 | 8 | 4 | 8 | 19:22 | 28 |
| ბორჯომი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| ბათუმი | 20 | 6 | 4 | 10 | 19:23 | 22 |
| ლოკომოტივი | 20 | 5 | 5 | 10 | 13:26 | 20 |
| ჩიხურა | 20 | 4 | 6 | 10 | 12:27 | 18 |
| მერანი | 20 | 4 | 6 | 10 | 14:31 | 18 |
| დილა | 20 | 2 | 3 | 15 | 13:49 | 9 |
| კახეთი | 20 | 0 | 1 | 19 | 16:60 | 1 |

# მართლა ტური: უტურისტებო!

## დედა შვილს ვერც ზემოთ აიყვანს და ვერც ქვემოთ



„ვიტ ჯორჯია" — „ოლიმპი" 0:0. ლიდერის მცხეთურმა ფრემ საჩემპიონო რბოლას სიმძაფრე შემატა




**13 აპრილი, მე-20 ტური**

| | |
|---|---|
| ბორჯომი — ტორპედო | ჩიხურა — მერანი |
| ამერი — სიონი | ვიტ ჯორჯია — ოლიმპი |
| დილა — კახეთი | მაინცი — შალკე |
| დინამო — ზესტაფონი | მესინა — მილანი |
| ბათუმი — ლოკომოტივი | ალკმაარი — ვიტესი |

### ინგლისი
ჩემპიონატი XLIII ტური
ვესტ ბრომვიჩი 0:1 უენსდი

### გერმანია
ბუნდესლიგა. XXIX ტური
გლადბახი 0:1 ჰამბურგი
II ბუნდესლიგა. XXIX ტური
აუგსბურგი 1:2 დუისბურგი
ბრაუნშვაიგი 1:1 ჰანზა
პადერბორნი 3:0 მიუნხენი
ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXX ტური
დორტმუნდი (მ) 1:0 ვუპერტალი
ლიუბეკი 0:1 მაგდებურგი
ვილჰელმშავენი 1:0 ოსნაბრიუკი
სამხრეთ რეგიონალლიგა XXVII ტური
ბაიერნი (მ) 1:2 პირმასენსი
როიტლინგენი 0:1 კიკერსი
ზაარბრიუკენი 5:2 მიუნხენი (მ)
ზიგენი 1:3 ვეჰენი

### თურქეთი
სუპერლიგა. XXVIII ტური
გენჩლერი 1:3 გალათასარაი

### რუსეთი
პრემიერლიგა. V ტური
ყუბანი 2:2 სატურნი

### პოლონეთი
I ლიგა. XXI ტური
ზაგლებე 1:1 ლოძი

### ირლანდია
პრემიერლიგა. VI ტური
კორკი 0:0 შემროკი
დროჰედა 3:0 სლიგო
გალვეი 1:1 ლონგფორდი
სენტ პატრიკსი 0:0 ბოჰემიანსი
უოტერფორდი 0:1 დერი

### უნგრეთი
ბორსოდი ლიგა. XXIV ტური
ვაშაში 1:2 უიპეშტი

### რუმინეთი
I ლიგა. XXVI ტური
უნირია 2:0 ტომოშოარა
ნაციონალი 0:1 პანდურიი

### ფინეთი
ლიგის თასის ფინალი
ინტერი 0:0 (პენ. 3:4) ლაჰტი

### ბელგია
იუპილერლიგა. XXIX ტური
სერკლი 0:1 ანდერლეხტი

### ჰოლანდია
ერედივიზიონი. XXXII ტური
სპარტა 1:1 უტრეხტი
აიაქსი 2:0 ბრედა
II დივიზიონი. XXXVI ტური
აპელდორნი 0:3 ემენი
გრააფსხაპი 4:2 ვოლენდამი
დენ ბოსხი 3:0 ალმერე
დორდრეხტი 1:0 ზვოლე
სიტარდი 0:2 იგლსი
ჰაარლემი 1:1 ოსი
ჰელმონდი 2:1 ტელსტარი
როზენდალი 0:2 ეინდჰოვენი
ვეენდამი 0:1 კამბური
ვენლო 0:0 მაასტრიხტი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXV ტური
სპორტინგი 4:0 მარიტიმუ

### ავსტრია
I დივიზიონი. XXV ტური
ადმირა 1:1 აუსტრია (მ)
ლუსტენაუ 0:1 ლინცერი
გრატკორნი 1:3 პარნდორფი
კაპფენბერგი 1:1 ლეობენი
კერნტენი 1:1 ჰარტბერგი
შვანენშტადტი 2:0 აუსტრია (ლ)

### იტალია
სერია B. XXXIII ტური
არეცო 2:1 ვიჩენცა
ჯენოა 3:0 ბოლონია
სერია C1/A. XXX ტური
პადოვა 3:1 მასეზე

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXXII ტური
ბასტია 1:2 კრეტეი
კაენი 0:1 გრენობლი
დიჟონი 2:1 ტურსი
ლიბურნი 1:0 აიაჩო
მეცი 2:0 შატორუ
მონპელიე 1:1 გენგამი
ნიორი 2:0 ამიენი
რეიმსი 1:0 გენიონი
ისტრი 3:2 სტრასბური

### აშშ
MLS. III ტური
ლოს ანჯელესი 1:2 დალასი

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 20 ტური

# ეგია, სიმონ, ტორპედო? კახა, დათო და გია: ქუთაისური ნოსტალგია

ბორჯომი. 13 აპრილი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 600 მაყურებელი

## ბორჯომი 5:1 ტორპედო

0:1 ქუთათელაძე (14), 1:1 ჯიქია (19), 2:1 კაკალაძე (24პ), 3:1 ლონლაძე (39), 4:1 გრიგალაშვილი (44), 5:1 ჯიქია (75)

**ბორჯომი:** შეყრილაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ქარქუზაშვილი, თ. ლონლაძე (ლომინაძე 78), გოგიშვილი (თედიაშვილი 68), შ. გრიგალაშვილი, შ. ჯიქია, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი (საყვარელიძე 60), კაკალაძე
სათადარიგონი: აბასაშვილი, რ. კვერნაძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ტორპედო:** ქვილითაია, ხურცილავა, ლალაძე, რ. ბარაბაძე, გურული, კვეტენაძე (გორგოძე 46), ზ. ჩხეტიანი, დ. ჯანაშია (ქედია 46), ნ. ნადირაძე, ზ. ქუთათელაძე, იმედაძე (ზივზივაძე 82)
სათადარიგონი: ოდიშარია, კირკიტაძე, დანელია, მ. ლონლაძე
**მწვრთნელი:** იური კვერნაძე

**გაფრთხილება:** ქარქუზაშვილი (28)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ზ. ფიფია, კ. ბერაძე; ლ. კვარაცხელია


ორგოლა შოთა ჯიქია

**დავით თავართქილაძე ბორჯომიდან**

**ნისიად** შეძენილი საწვავით ჩამოაღწია „ტორპედომ“ ბორჯომში და პირველი ტაიმის 20-25 წუთი ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს.

კახა კვეტენაძე, დავით ჯანაშია, გია იმედაძე — მათ ისე გააგორეს ბურთი, დროდადრო თავბრუს ასხამდნენ მეტოქეს. 6-7 წლის წინ ისინი საქართველოს ჩემპიონატში გამორჩეული ფეხბურთელები იყვნენ და გუშინ ოდინდელი წამიერად გაიხსენეს. უპატრონოდ და უფულოდ მიტოვებული „ტორპედოს“ ცქერას ეს ნოსტალგიურ სევდას მატებდა.

ზეიად ქუთათელაძე იმედაძის პასით დარჩა ბექა შეყრილაძესთან პირისპირ და გატანაც არ გასჭირვებია. ბურთის ფლობაში მჯობნ „ტორპედოს“ მდგრადობა აკლდა და თანდათან ელეოდა ძალა. ჰოდა, „ბორჯომიც“ შეუდგა მეტოქის რბევას. შოთა ჯიქიამ გამთანაბრებელი სეხნია გრიგალაშვილის პასით შეაგდო, მიხეილ კაკალაძემ კი იმავ გრიგალაშვილის მოპოვებული თერთმეტმეტრიანით დააწინაურა თორელები.

„ტორპედოს“ გულზე ხელები არ დაუკრეფია, ერთი-ორჯერ ისევ გამოუვიდა ბურთის მოხდენილად გაგორება, მაგრამ როგორც კი მესამე გოლი გაუშვა, ნირი მთლად წაუხდა — თეიმურაზ ლონლაძის დარტყმული ბურთი რიკოშეტით შევარდა მაქსიმე ქვილითაიას კარში. თამაში, ფაქტობრივად, აქ დასრულდა, შესვენებამდე კი გრიგალაშვილმაც დაიოკა საგოლე ჟინი — 4:1.

მეორე ტაიმში საინტერესო რაღა უნდა მომხდარიყო, თამაში ისეთ ვარჯიშს დაემსგავსა, როცა გუნდის ძირითადი შემადგენლობა მეორეს ეთამაშება და მეორე შემადგენლობის არც ერთ ფეხბურთელს პირველში მოხვედრის პერსპექტივა არ აქვს.

კაკალაძე, გრიგალაშვილი, კოშკაძე, თედიაშვილი — ქუთაისელთა დამწუხურება მათაც მართებდათ, მაგრამ სტუმრებს მეორე ტაიმში მხოლოდ ერთი გოლი აკმარეს — ჯიქიამ რატი ბარაბაძის შეცდომით ისარგებლა, ქვილითაია მშვიდად გააცურა და „ტორპედოც“ ასე დაიხუთა.

# დაელოდეთ 28 მაისს

## ამხანაგურები: არგენტინა, ბრაზილია... ლუქსემბურგი



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ გუშინ პრესკონფერენციაზე მიგვიწვიეს, სადაც შვეიცარიულ ნიონში ვიზიტზე ისაუბრეს. 28 მაისს ციურიხში უეფას რიგგარეშე კონგრესი გაიმართება და სწორედ წინასაკონგრესო მოსამზადებელი საქმიანობის განხილვას დაესწრნენ ახალკაცი და უგულავა.

*ნოდარ ახალკაცი:* ნიონში რვა ქვეყნის ფედერაციების ხელმძღვანელები იყვნენ, 28 მაისამდე კი სხვა ქვეყნის დელეგაციებიც ჩავლენ. უეფას ხელმძღვანელების გარდა, სხვა ქვეყნების ფედერაციათა წარმომადგენლებსაც შევხვდით. ნიონში უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინიც იყო და მასთან ერთად სხვადასხვა საკითხებზე ვიმსჯელეთ — მათ შორის, ცხადია, ქართული ფეხბურთის განვითარებაზეც. ამ საუბრის დეტალებს ჯერ ვერ გავახმაურებ.

როგორც იცით, პლატინი საკმაო ცვლილებებს გეგმავს უეფას წესდებაში. ამის შესახებ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზეც დაიწერა. მაგალითად, უეფას გენერალურ მდივნად დევიდ ტეილორის დანიშვნა თითქმის გადაწყვეტილია. ეს ყველაფერი 28 მაისის კონგრესზე დამტკიცდება და დეტალებზე საუბარიც მაშინ შემეძლება.

საინტერესოა, რომ კონგრესზე იგეგმება ფიფასა და უეფას კიდევ უფრო დაახლოება, რაც ბოლო წლებში არ შეინიშნებოდა. ამ ორივე დიდ საფეხბურთო ორგანიზაციაში სპეციალური კომიტეტები შეიქმნება, რომლებიც ერთობლივი მიზნების მისაღწევად იმუშავებენ.

უჩა უგულავამ საქართველოს ნაკრების ამხანაგური მატჩებისთვის სავარაუდო სპარინგ-მეტოქეებზე გვითხრა და კიდევ ერთი: 16 აპრილს ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება, სადაც მთავარი საკითხი სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღის დადგენა იქნება.

*უჩა უგულავა:* 22 აგვისტოსა და 12 სექტემბრის ამხანაგურ მატჩებზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იცით, რომ არგენტინის ნაკრების თბილისში ჩამოყვანა გვსურს, თუმც გადაწყვეტილი ჯერ არაფერია — საბოლოო პასუხი ალბათ მომავალი კვირის ბოლოს გვეცოდინება. ჩვენ ჩვენი მოთხოვნები გვაქვს, არგენტინას კი თავისი. იმედია, ყველაფერი დადებითად გადაწყდება. არგენტინის გარდა, ბრაზილიასთან და ლუქსემბურგთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 20 ტური

თბილისი. 13 აპრილი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 3 000 მაყურებელი

## დინამო 2:2 ზესტაფონი

0:1 ჭელიძე (17), 1:1 იაშვილი (28), 2:1 ფეიქრიშვილი (30), 2:2 გოცირიძე (90)

*იაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (65, ააცილა)*

| | |
|---|---|
| დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, ფეიქრიშვილი (დ. ოდიკაძე 88), ს. კობახიძე (ხუციშვილი 82), ს. იაშვილი *სათადარიგონი:* მაკარიძე; გ. კაშია, თომაშვილი, ლ. ნოზაძე, სპასოევიჩი მწვრთნელი: დუშან უპრინი | ზესტაფონი: გ. ჭანტურია, ს. თოდუა (ბ. ნოზაძე 87), საჯაია, შ. ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (ბ. გოცირიძე 80), რ. ონიანი, კესანი, ჟონატასი (ნ. კვასხვაძე 66), ვიეირა, გ. ჭელიძე, იონანიძე *სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე; სანტოსი, გ. ხიდეშელი, ფიფია მწვრთნელი: თემურ მახარაძე |

გაფრთხილება: ჭანტურია (65), კესანი (67), თოდუა (84), შაშიაშვილი (86), მერებაშვილი (89)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; გ. ჩიგოგიძე, ლ. თოდრია; მ. ბეუქლიშვილი



# აფეთქებები

## რისთვის აწითლებენ ფეხბურთელებს?

## ჭანტურიას ბოლო იმედი გოცირიძის ბოლო იმედმა ჩაყლაპა

ილია ნანობაშვილი

**„როგორც** ვიცი, ბოლო იმედის ჯარიმისთვის ფეხბურთელს აძევებენ. ამის შესახებ მატჩის დამკვირვებელ სერგო კოტრიკაძეს ვუთხარი, მან კი თქვა, ასეთ მომენტებში მეკარეს არ აძევებენო. პარადოქსული პასუხი მივიღე" — ეს „დინამოს" აღმასრულებელ დირექტორ ბუბა ტყავაძის მატჩისშემდგომი კომენტარია.

დინამოელთა თავკაცმა დუშან უპრინმაც თქვა პრესკონფერენციაზე, „ზესტაფონის" მეკარე გრიგოლ ჭანტურია გასაწითლებელი იყოო.

ეს მომენტი 65-ე წუთზე იყო: ყოჩაღად მოთამაშე „დინამოს" ნახევარმცველი გიორგი მერებაშვილი მეტოქის საჯარიმოში შალვა ლონლაძეს გასცდა, მახვილი კუთხიდან ჭანტურიას შეყრილმა მისი მოტყუებაც სცადა, თუმც ფეროელთა მეკარემ ფეხში ხელები გამოსდო და... მსაჯმა ლევან ფანიაშვილმა პენალტი დანიშნა, ხოლო ჭანტურია გააყვითლა.




გიორგი ფეიქრიშვილი

საპენალტე ნიშნულიდან კი სანდრო იაშვილმა კარს ააცილა. სხვათა შორის, ჩემპიონატის მთავარმეგოლე ზედიზედ მეორე მატჩში ვერ იყენებს თერთმეტმეტრიანს, თუმც ეს მის გუშინდელ ჩაუქობას მცირედ თუ დააკნინებს — იაშვილი ჩვეულად, ჯარასავით ტრიალებდა, მცველებს სიქას აცლიდა და „დინამოს" ორივე გოლი მისი გამოძერწილი იყო.

უპრინმა ოპტიმალური თერთმეტეული გაამწესა ძირითადში, თემურ მახარაძემ კი გოგი ფიფია და ნიკა კვასხვაძე სათადარიგოთა სკამზე დატოვა. კვასხვაძე მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე, ფიფია კი სკამიდან არ წამომდგარა. სამაგიეროდ, მახარაძეს არ დავიწყნია, რომ ზურაბ იონანიძეს „დინამოს" გამწარება ძალიან უყვარს და წინა მატჩებისგან განსხვავებით, იონა 90 წუთი ათამაშა. არც წააგო მახარაძემ — იაშვილისა არ იყოს, ფეროელთა ორივე გოლი იონანიძემ გაჩარხა.

– გუნდებმა თითო დარტყმა გაცვალეს და გოლის ჯერიც დადგა: გიორგი ჭელიძემ იონანიძის რბილი თავური პასის შემდეგ ათიოდ მეტრიდან გაუტანა სოსო გრიშიკაშვილს — 0:1.

ფეროელები გოლმა გაათამამა, ბურთი დაიჭირეს და „დინამოს" სივრცე შეუზღუდეს, თუმც იაშვილი ტყუილად იყო მინდორზე?! მისი ორწუთიანი აფეთქება და „ზესტაფონი" უკვე მდევრის როლშია: სანდრომ ჯერ შოთა კაშიას ფლანგიდან ჩაბზრიალებულს დაჰკრა ბრწყინვალე თავური და ჭანტურიას ნახტომს ფასი დაუკარგა, მერე კი ჭკვიანური პასით მეტოქის დაცვა პირღია, ხოლო მერებაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი მეკარესთან პირისპირ დატოვა. მერებაშვილი თვითონაც მზად იყო გასატანად, მაგრამ ფეიქრიშვილს ცარიელ კართან დაუგორა და 2:1.

„დინამო" — „ამერის" ამასწინდელ საჩემპიონატო მატჩი გახსოვთ? ზუსტად იგივე სცენარი იყო გუშინაც და გოლებიც დაახლოებით იმ წუთებში გავიდა. პირველი ტაიმი ისე ჩათამაშდა, საგოლე მომენტი აღარ შექმნილა, თუმც დინამოელები შედარებით მეტს აქტიურობდნენ და ასე გაგრძელდა 70-ე წუთამდე...

ფეროელთა დაცვას იაშვილი და მერებაშვილი აწამებდნენ, ხოლო ზესტაფონელთაგან მარცხენაფლანგელი ვიეირა თუ ამწვავებდა თამაშს. გაეტანა იაშვილს პენალტი და ალბათ მამალმერთიც ვერ წაართმევდა „დინამოს" სამ ქულას, ასე კი სტუმრებმა სიჩქარე ჩართეს და ორ წუთში სამჯერ უჩხვლიტეს თბილისელთა კარს: ჭელიძის დარტყმულს მცველი გადაეფარა, როინ ონიანისა და ედიკ საჯაიას დაქუხებულები კი სოსო გრიშიკაშვილმა მოიგერია.

არ ვიცით, იმერელთა ძალთმოზღვავებას მივაწეროთ თუ დინამოელთა დაღლას, მაგრამ ცალკარა კი გაჩაღდა და როცა ველოდით, რომ მახარაძე ფიფიას შეიყვანდა, ბექა გოცირიძე ჩართო თამაშში და გაუმართლა, თანაც როგორ...

დინამოელთა საჯარიმოში აღრინდელი საპირველმაისო ბუშტებივით მრავლად ცვიოდა მაღალი ბურთები და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ზესტაფონელებმა გაიხარეს: კვასხვაძემ თავით გადააგდო ბურთი მეკარის ბაქანთან, სადაც იონანიძემ თავითვე იმარჯვა და გოცირიძემ ხუთიოდ მეტრიდან ნახევარმაკრატელათი დახვრიტა გრიშიკაშვილი — 2:2.

ასე გაგრძელდა „დინამოს" მოუგებელი სერია „ზესტაფონთან" — არადა, უპრინის ბიჭებს რომ ემარჯვათ, ოლიმპურ-დინამოური ორგუნდა საჩემპიონო რბოლა გარდაუვალი იქნებოდა. გოცირიძის გოლმა ზესტაფონელებსაც და „ამერსაც" შანსი დაუტოვა.

### პრესკონფერენცია

*დუშან უპრინი:* დასანანია, რომ ბოლო წუთზე გავუშვით გოლი. ძალიან საინტერესო თამაში გამოვიდა. მეკარე ლორია ტრავმირებულია და დღეს სიცხიანმა გრიშიკაშვილმა ითამაშა. „დინამო" ის გუნდი არაა, შორეულ პასებზე და ბურთის გადაგდებაზე ითამაშოს, ასეთ მინდორზე კი ტექნიკური გუნდისთვის ძალის სრულად წარმოჩენა შეუძლებელია.

*თემურ მახარაძე:* ოთხ დღეში სათასო მატჩი გველის „ბათუმთან", ზოგიერთი ფეხბურთელი დისკვალიფიკაციის ზღვარზე იყო და მთლიანობაში გადაღლილობის ბრალიც იყო, რომ პირველი ტაიმის ბოლოს და მეორის დასაწყისში უპირატესობა დავთმეთ... ფიფია შეუძლოდ იყო და ამიტომ ვერ ვათამაშე, ასევე ავადაა გაგა ჩხეტიანი, ხოლო კახა ჩხეტიანმა გუშინ განაახლა ვარჯიში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენ ცდებით, ჰერებო და სერებო!

მცხეთა. 13 აპრილი. 16 საათი. არმაზი. 300 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 0:0 ოლიმპი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე (ინჯგია 87), გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე, კლიმიაშვილი (ბეჭვაია 63), ლუქაშვილი, ბერიაშვილი (საბოკია 78) სათადარიგონი: მიქაბერიძე, ადამაძე, ლიპარტია, კიკნაძე მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ოლიმპი: მერლანი, ძამსაშვილი, მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭველიშვილი, ნავალოვსკი, ქებაძე, აფციაური (ბერუაშვილი 81), გ. კახელიშვილი (ხუბუა 63), დვალიშვილი (გუნაძე 46), რ. გოცირიძე სათადარიგონი: მ. ალავიძე, ჩხარტიშვილი მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი |
| გაფრთხილება: რაზმაძე (62) | |
| მსაჯები: მ. მაისურაძე; ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი; ვ. ელიხაბედაშვილი | |

**მიხეილ ჟორჟოლიანი** მცხეთიდან

**ბინება**, გაწევა-გამოწევა, გაშველება — ეს ყველაფერი მატჩის დასრულების შემდეგ. შორიდან ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ვის ექაჩებოდა, თუმც არც თამაშისას და არც მერე ამის საბაბი არ გაჩენილა. ორივე გუნდის ხელმძღვანელობის ჩარევით ინციდენტი მალე ამოიწურა.

მანამდე კი იყო ბრძოლა ყოველი ბურთისთვის, ყოველი გოჯისთვის. ხისტ თამაშში, ბლომად იყო ჯარიმები, თუმც უხეშობას ვერ ვიტყვით.

ლიდერ „ოლიმპს" ქულების დაკარგვის უფლება არ ჰქონდა, რადგან მდევართა სუნთქვა ესმის, თავის მხრივ, „ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოს საგზურისთვის იბრძვის და თან პირველი წრის 0:4-ისთვის რევანშიც სურდა. ფრე არც ერთს აძლევდა ხელს, მაგრამ ახლა თავი იმით უნდა დაიმშვიდონ, რომ ამ ტურში მათმა კონკურენტებმაც იზარალეს.

ორივე მწვრთნელი ფრთხილობდა და უფრო დაცვაზე ორიენტირებული ტაქტიკაც ირჩიეს. „ოლიმპის" სამ ცენტრალურ მცველს ფლანგებს ზურაბ ძამსაშვილი და გიორგი ნავალოვსკი უმაგრებდნენ, ნახევარდაცვაში ლაშა ქებაძე და თორნიკე აფციაური ირჯებოდნენ, შემტევობა დვალიშვილ-გოცირიძე-კახელიშვილის ტრიოს ევალა.

ნესტორ მუმლაძის სქემა კი უცნაურად გამოიყურებოდა: ოთხი მცველის წინ ამდენივე ნახევარმცველით თამაში არავისთვისაა უცხო, გასაკვირი ის იყო, რომ ვეტერინართა მწვრთნელმა სამი საყრდენი და ერთი წინ წაწეული ნახევარმცველი გამოიყვანა, ფლანგელი კი არც ერთი. ნამატჩევს მუმლაძემ განაცხადა, მეტოქეს ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს და ჩვენი ამოცანა მათი განეიტრალება იყოო.

ორივე გუნდის დაცვა და ნახევარდაცვა თავდამსხმელებს გასაქანს არ აძლევდნენ. აკი მთელ მატჩში ერთადერთი საგოლე მომენტი შეიქმნა, თუმც თამაშზე უინტერესო მაინც არ ითქმოდა.

თავდამსხმელთა შებორკვის გამო ნახევარმცველები შორეული დარტყმებით ცდილობდნენ გატანას, მაგრამ ამაში ნამდვილად ვერ ივარგეს — ბურთი ან საკმაოდ სცდებოდა კარს, ანაც მეკარეთა იოლი ნადავილი ხდებოდა.

ფრე ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგია, თუმც თუ რომელიმე წაგებას გადაურჩა, ეს „ოლიმპია". მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე დავით ჭიჭველიშვილს ბურთი გადაახტა და გიგა ბეჭვაია მეკარესთან პირისპირ დარჩა, ვიტელმა კი მომენტი ვერ შეირგო და კარს ააცილა.



### პრესკონფერენცია

*რევაზ ძოძუაშვილი:* ამ თამაშმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ყველა, ვინც საქართველოს ჩემპიონატს ცუდი თვალით უყურებს, ძალიან ცდება. ეს მატჩი კლასიკური ფეხბურთის მაგალითი იყო. ბრძოლა, ნორმალური მსაჯობა, მწვრთნელთა მონახაზი, ემოცია — ყველაფერი დაიტია ამ თამაშმა. მატჩისშემდგომი წაკინკლავებაც ამ მუხტის შედეგი იყო. აი, ასეთი თამაშები უნდა გადაიცეს ტელევიზიით, რათა მაყურებელი სტადიონზე დავაბრუნოთ. თამაშით „ვიტ ჯორჯია" უფრო მომეწონა, ბოლო წუთზე გადავრჩით კიდეც.

*ნესტორ მუმლაძე:* ორივე გუნდმა მაღალი კლასის ფეხბურთი აჩვენა. ამჟამად „ოლიმპი" ჩვენზე ძლიერია და მიხარია, რომ არაფერი დავუთმეთ. ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს, მათი გარჯით კმაყოფილი ვარ.



# უპრეტენზიონი

გორი. 13 აპრილი. 16 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

## ჩიხურა 1:0 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 ბუცხრიკიძე (85) | |
| *დვალმა ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)* | |
| ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, დ. გიგაური, ქუხილავა, ბჯეტაძე, ლ. ვაშაკიძე, ი. ზაბახიძე (მ. მიქაძე 63), ბუცხრიკიძე, ქუცურუა (ვ. ზაბახიძე 89), ჯ. დვალი სათადარიგო: დოლაძე მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | მერანი: გლუნჩაძე (ლომიძე 70), კეტაშვილი, ჯანგიძე (ჩაჩიბაია 68), ფურთუხია (იაგო დეისაძე 61), სარალიძე, ბურჯანაძე, ნეფარიძე, დათუნაშვილი, ქორიძე, იაკობ დეისაძე, ცისკარაული სათადარიგო: გოგიჩაიშვილი მწვრთნელი: ასლან ბალაძე |
| გაფრთხილება: დვალი (50), ფურთუხია (55), ნეფარიძე (69), იაგო დეისაძე (77) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა; დ. გოგოლაძე, ო. მოლოდინაშვილი; პ. დოგრაშვილი | |

**ნუკრი ლოლაძე** გორიდან

**მატჩის** დამკვირვებელმა მერაბ ჭელიძემ თამაშის დაწყებამდე გვითხრა, „ქართლის" კარებიც და მოედანიც გავზომეთ, ყველაფერი წესრიგშია და იმედია, პრეტენზიები აღარ იქნებაო.

პირველმა ნახევარმა ძალიან დუნედ ჩაიარა, საჩხერელებს საერთოდ არ დაურტყამთ კარისკენ, „მერანმა" კი ეს ერთხელ მოახერხა — იაკობ დეისაძე ორ მცველს გასცდა, მაგრამ ზვიად სტურუას ვეღარ აჯობა.

მეორე ტაიმი განსხვავებული იყო. „ჩიხურამ" ტემპს და შეტევებს უმატა.

50-ე წუთზე ჯაბა დვალი საჯარიმოში წაიქცა. საჩხერელები პენალტს ითხოვდნენ, მსაჯმა ლაშა სილაგავამ კი დვალს ყვითელი ბარათი უჩვენა სიმულაციისთვის. სატურინირო ვითარებიდან გამომდინარე, „ჩიხურას" აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, „მერანი" კი ფრეზე ფიქრობდა და დაცვაში იყო გამაგრებული. საჩხერელთა მარცხენა ფლანგზე გიორგი ქუცურუა აქტიურობდა, მაგრამ საგოლე მომენტამდე საქმე არ მიდიოდა.

70-ე წუთზე მერანელთა მეკარე კახა გლუნჩაძე შესაცვლელი შეიქნა და მის მაგივრად შესულმა ლევან ლომიძემ ხუთ წუთში ჯაბა დვალს თერთმეტმეტრიანი აუღო, პენალტი კი ლევან სარალიძის ხელით თამაშის გამო დაინიშნა.

„ჩიხურა" არ მოეშვა, შეტევებს სიმძაფრე არ მოაკლო. დვალმა სცადა შორიდან გატანა, მაგრამ ისევ არაზუსტად დაარტყა, შემდეგ ქუცურუას ჩაწოდებულ ბურთს დავით გიგაურმა შეაგება თავი, თუმც კარს გადააცილა. ნანატრი გოლი კი საჩხერელებმა 85-ე წუთზე გაიტანეს. მიხეილ ბუცხრიკიძემ დვალის პასის შემდეგ ბურთი კარგად გაისწორა და კარგადაც დაარტყა. ლომიძემ რთული ბურთი მოიგერია, თუმცა დამატებაზე იმავ ბუცხრიკიძემ იმარჯვა და 1:0.

ამ გამარჯვებით „ჩიხურა" „მერანს" ქულებით გაუთანაბრდა და პლეი ოფისგან თავის დაღწევის კარგი შანსიც გაუჩნდა.

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 20 ტური

ბათუმი. 13 აპრილი. 16 საათი. ადელი. 450 მაყურებელი

## ბათუმი 0:1 ლოკომოტივი

| 0:1 კვახაძე (66) | |
|---|---|
| ბათუმი: სომხიშვილი, ფარტენაძე (დუმბაძე 77), თედორაძე, გალოგრე, ხოხონიშვილი, ქ. შალამბერიძე (ტულუში 65), ცანავა (ა. ბაჯელიძე 80), ნერგაძე, ბეჟანიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია<br>სათადარიგოები: ბექთაშევი; კერესელიძე, ბაციკაძე, მაკარიანი<br>მწვრთნელი: ამირან გოიტიძე | ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მ. ძლენტი, ჩომახიძე (სოსელია 46), მალიჩავა, გულორდავა, სამხარაძე, ვ. გოჩაშვილი (კირკიტაძე 61)<br>სათადარიგოები: მიგინეიშვილი; ებრალიძე, კუპრეიშვილი, ბახტაძე, ბარბაქაძე<br>მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |
| გაფრთხილება: ფარტენაძე (58), ცანავა (60), ხოხონიშვილი (85), გუშარაშვილი (83), გვარამაძე (88) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; კ. გაბრიაძე, დ. კურტანიძე; ჯ. ბუიშვილი | |

## მასპინძელი, ძელი, ძელი

**გიორგი მურვანიძე ბათუმიდან**

**20 წუთი** ისე ჩათავდა, ხიფათი არც ერთ კართან არ შექმნილა. 22-ე წუთზე დაჩი ფოფხაძის თავური მცირე მანძილით ასცდა კარს. ეს იყო და ეს — ტაიმის ბოლომდე რეალური საგოლე მომენტი არ ყოფილა. 38-ე წუთზე კი ბეგლარ თედორაძის მოგერიებულ ბურთს მოედნის ცენტრში კობა შალამბერიძე დაეუფლა, სწრაფად და მარჯვედ გაირბინა საკმაო მანძილი, დაარტყა კიდეც, მაგრამ მეკარემ ივარგა.

43-ე წუთზე საჯარიმოში შეჭრილმა ვახტანგ კვარაცხელიამ კარის დაბალ კუთხეში დაარტყა — მეკარე ბურთს ვერ მისწვდა, ბურთი ჯერ ერთ, შემდეგ მეორე ძელს მოხვდა და სტუმართა მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა.

ვერ გაიტან, გაგიტანენ — 66-ე წუთზე მიხეილ სოსელიამ საჯარიმო დაარტყა. გიორგი სომხიშვილმა მოიგერია ბურთი, რომელიც ძელს მოხვდა და გიორგი კვახაძეს მიუგორდა. მან კი „ლოკომოტივს" ასე საჭირო სამი ქულა მოუტანა.

ბოლო წუთებზე ბათუმელებს ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ, მაგრამ კვარაცხელიამ ხელსაყრელ პოზიციიდან ვერ იხეირა.

## ვინ ბოლო, ვინ ბოლოსწინა

გორი. 13 აპრილი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

## დილა 3:1 კახეთი

| 1:0 ვარდოსანიძე (20), 2:0 კ. ხანიშვილი (35), 3:0 სულთანიშვილი (45), 3:1 ბიძინაშვილი (75პ) | |
|---|---|
| დილა: თევდორაძე, ბალიაშვილი, ი. კობახიძე, ყველაშვილი, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი (ნ. ნოზაძე 60), ლომაშვილი, გ. ვარდოსანიძე, ტლაშაძე (ი. თაყაძე 72), სულთანიშვილი, გონჩაროვი (ი. ლომიძე 79)<br>სათადარიგონი: კეჩხუაშვილი; კურტანიძე, გ. წინამძღვრიშვილი<br>მწვრთნელი: მამუკა ვარდოსანიძე | კახეთი: გ. იაშვილი, მ. ხიდეშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, დოლაძე, კუპრაშვილი, მაჩაიძე (ბიბილაშვილი 33), ჩუთლაშვილი, ბიძინაშვილი, გ. ხიდეშელი, ტეტიაშვილი<br>სათადარიგონი: ქუფარაშვილი, გიგაური<br>მწვრთნელი: ვასილ არუდაშვილი |
| გაფრთხილება: ბალიაშვილი, თევდორაძე, მ. ხიდეშელი | |
| მსაჯები: კ. ჭაჭუა; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; ა. კრიჭაშვილი | |

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**დასაწყისშივე** სტუმარ-მასპინძელმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს, მე-20 წუთზე კი გორელებმა იმარჯვეს: საბა სულთანიშვილმა ბურთი კარისკენ გაგზავნა, სტუმართა მეკარემ და მცველებმა შეუთანხმებლად ითამაშეს და გიორგი ვარდოსანიძემ ახლოდან გახსნა ანგარიში — 1:0.

გავიდა თხუთმეტი წუთი და „დილამ" მეორეც გაიტანა: სტუმრებმა მოედნის ცენტრში დაკარგეს ბურთი, მასპინძლებმა სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყეს და სულთანიშვილი საჯარიმოს ხაზთან წააქციეს. კობა ხანიშვილმა ჯარიმა უნაკლოდ შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელს გადაატარა და მეკარისაგან შორეულ კუთხეში მიუჩინა ადგილი — 2:0. ტაიმის ბოლო წუთზე კი გორელებმა ისევ კონტრშეტევაზე დაიჭირეს სტუმრები: ბორის გონჩაროვმა ზუსტი პასით სულთანიშვილი გიგა იაშვილს პირისპირ შეატოვა და ანგარიშიც 3:0 გახდა.

მეორე ნახევარში თამაში შეტრიალდა და მალე სტუმრებმაც იხეირეს: 75-ე წუთზე ვლადიმერ კობახიძემ საჯარიმოში შეჭრილი ზაქრო ბიძინაშვილი მოცელა, პენალტი თავად ბიძინაშვილმა დაარტყა და 3:1.

მატჩის ბოლო წუთები კი სტუმართა აშკარა უპირატესობით წარიმართა და ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდათ, შეიძლება არც კი დამარცხებულიყვნენ. 85-ე წუთზე ლუკა ტეტიაშვილმა ახლო მანძილიდან ძელს მოარტყა ბურთი, შემდეგ კი იგი მეკარესთან პირისპირაც გავიდა, მოატყუა კიდეც, მაგრამ კარში მიმავალი ბურთი „დილას" მცველებმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერიეს. საბოლოოდ „დილამ" შეინარჩუნა ანგარიში და მეორე გამარჯვება ჩაიწერა.

# ბოლო წამის ამბავი

## ამერი გადარჩა და შანსი გაიცოცხლა



**კობა ინასარიძე**

თბილისი. 13 აპრილი. 16 საათი. ამერი. 900 მაყურებელი

## ამერი 1:0 სიონი

| 1:0 ბოლქვაძე (90) | |
|---|---|
| ამერი: ქაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, დ. მჭედლიშვილი (ჯელაძე 46), დიდავა (დეკანოსიძე 66), ჩიკვილაძე ს. დავითაშვილი, რ. წინამძღვრიშვილი, ბოლქვაძე, კაკაშვილი (ტატანაშვილი 78), დოლიძე<br>სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; გაბისკირია, გვაძაბია, ჩიმაკაძე<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | სიონი: მამალაძე, მ. კობაური, რაქვიაშვილი, სვანიძე, ფრიდოლინი, კორღალიძე, ბაბუნაშვილი, კვიტაიშვილი, ვოჩე (უგრეხელიძე 46), ქარდავა (ბაჯელიძე 46), ოქრობირიძე (ბ. ცხადაძე 46)<br>სათადარიგონი: ბობღიაშვილი; ბუბუტეიშვილი, ექონია, ლ. ჭელიძე<br>მწვრთნელი: კახა ცხადაძე |
| გაფრთხილება: კვიტაიშვილი (72), დავითნიძე (84) | |
| მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; მ. ელიკაშვილი, ი. უკლება; დ. ხანაია | |

**„ამერი"** და „სიონი" 17 აპრილსაც, თასის ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს და თამაში, აბა, ის იქნება, თუ იქნება... გუშინ კი, ჩავთალოთ, რომ მეტოქეებმა ერთმანეთი დაზვერეს.

თუმცა ამ მატჩს მასპინძელთათვის პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა, „ამერმა" მოიგო და კვლავ გაიცოცხლა საჩემპიონო შანსი, „სიონისთვის" კი ჩემპიონატი უკვე სულ ერთია, მთლიანად თასზეა კონცენტრირებული და ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ კახა ცხადაძემ „ამერთან" მთლად უძლიერესი შემადგენლობა არ ათამაშა, რამდენიმე ფეხბურთელი დაასვენა, თავის მხრივ, ფეხბურთელები მასპინძლებსაც აკლდათ. იქნებ ამიტომაც მატჩი არცთუ თვალსაჩინო გამოვიდა, თუმცა დაძაბულობა და ნერვული სიტუაციები შეხვედრას არ დაჰკლებია.

როგორც ვთქვით, ამ თამაშის მოგება „ამერს" უფრო სჭირდებოდა, მთელი 90 წუთი კი ისე გაილია, მასპინძლები სამქულიანი გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. არადა, საამისოდ სამი-ოთხი შანსი „ყვითლებმა" პირველ ტაიმშიც გაანიავეს და ერთი-ორი შესვენების შემდეგაც. ლადო კაკაშვილის თავური ხარიხამ აისხლიტა, დავით ბოლქვაძეს ტექნიკური დარტყმა არ გამოუვიდა, გიორგი დავითნიძეს და რატი წინამძღვრიშვილს მიზანმა უმტყუნათ, სულიკო დავითაშვილის შესრულებული ჯარიმიდან ბურთი ძელს მოხვდა... „ამერი" რამდენჯერმე მართლაც ახლოს იყო გოლთან, მაგრამ მატჩის ბოლოსკენ „სიონმა" რომ მომენტები გაანიავა, საგოლედ უკეთესს ვერ ინატრებდი. ჯერ შოთა ბაბუნაშვილმა დაატოვა მასპინძელთა დაცვა უსაქმოდ, ბაჩანა ცხადაძე ჩინებული პასით ზურაბ ქვაჩახიას შეატოვა, თავდამსხმელმა კი ზუსტად დარტყმა ვერ მოახერხა. შემდეგ თავად ბაბუნაშვილს შეექმნა ცხადაძეზე უკეთესი მომენტი. ლევან კორღალიძის პასს ამერელებმა თვალი გააყოლეს, ბაბუნაშვილის ხელის შემშლელი არავინ გამოჩნდა, თუმცა მანაც უხეიროდ დაარტყა. სხვათა შორის კი ისიც აღვნიშნოთ, რომ „სიონს" ამ მატჩში მიზანი არ უვარგოდა, სტუმრებმა მასპინძელთა კარში სულ ერთხელ დაარტყეს, ხსენებული რეალური მომენტების გარდა კი ბურთი კარისკენ ოთხჯერ გაგზავნეს.

მოკლედ, მატჩის ბოლოს „ამერი" მაგრად გადარჩა, ხოლო როცა არბიტრ გიორგი კიკაჩეიშვილის წამზომზე წამატებული სამი წუთი იწურებოდა, კულმინაციური მომენტიც მაშინ დადგა: დიმიტრი ტატანაშვილმა ბურთი მეტოქის კარისკენ წაიღო და, საჯარიმოს რომ მიუახლოვდა, დაარტყა. ბურთი მცველებსა და შემტევებს შორის „გაიხლართა" და საბოლოოდ კარიდან ხუთ-ექვს მეტრში მყოფ ბოლქვაძეს მიუგორდა. ამერელმა არ დააყოვნა, ზურაბ მამალაძისკენ შეტრიალდა და ცაციათი დაურტყა — მეკარე უძლური დარჩა. „სიონმა" თამაში ცენტრიდან ნანაახლა და კიკაჩეიშვილმაც იქ ჩასტვინა...

„ყვითლებმა" ყიჟინა დასცხეს, ერთ-ორ წუთში კი უფრო გაიხარეს, ამბები მოვიდა, რომ „დინამო" — „ზესტაფონი" და „ვიტ ჯორჯია" — „ოლიმპი" ფრედ დამთავრდა.

წინ 17 აპრილია, ისევ გლდანი, თასის ნახევარფინალი, „ამერი" — „სიონი"... ეჭვი არაა უკეთესი თამაში იქნება.

## უეფას თასი 2006-2007
### მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

**ბენფიკა (პორტუგალია) 0:0 *ესპანიოლი (ესპანეთი)* (2:3)**

ბენფიკა: კიმი, ნელსონი (დერლეი 81), ანდერსონი, დ. მორეირა, ლეო, კარაგუნისი (კაცურანისი 81), პეტიტი, სიმაო, რუი კოშტა, ნუნუ გომეში (მანტორაში 70), მიკოლი
მწვრთნელი: ფერნანდუ სანტუში
ესპანიოლი: ირაისოსი, საბალეტა, ტორეხონი, ხარკე, ჩიკა, იტო (ე. კოშტა 54), მოიზესი, დე ლა პენია (ხონათასი 38), ლუის გარსია, რიერა, პანდიანი (კორომინასი 71)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: რუი კოშტა, იტო, ლუის გარსია, დე ლა პენია, კარაგუნისი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
55 000 მაყურებელი

***ოსასუნა (ესპანეთი)* 1:0 ლევერკუზენი (გერმანია) (3:0)**

1:0 ხუანლუ (62)
ოსასუნა: რიკარდო, ისკიერდო, კრუჩაგა (ერიკე 70), კუელიარი, ნაჩო, ვალდო, ხოსეჩო, მუნიოსი, ხუანლუ, მილოშევიჩი, სოლდადო (ექტორ ფონტი 74)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
ლევერკუზენი: ადლერი, კ. კასტრო, მადუნი (პაგუი 52), კალსენ-ბრაკერი, შტენმანი, ბარნეტა (ბაბიჩი 42), შვეგლერი, როლფსი, ფრაიერი, შნაიდერი, ბარბარესი (კისლინგი 67)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ფრაიერი, კასტრო
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
17 000 მაყურებელი

**ტოტენჰემი (ინგლისი) 2:2 *სევილია (ესპანეთი)* (1:2)**

0:1 მალბრანკი (3ს.კ.), 0:2 კანუტი (8), 1:2 დეფო (66), 2:2 ლენონი (67)
ტოტენჰემი: რობინსონი, ტაინიო, დოუსონი, კინგი, ჩიმბონდა, ლენონი, ზოკორა (დეფო 65), ჯენასი, მალბრანკი, ბერბატოვი, კინი
მწვრთნელი: მარტინ იოლი
სევილია: კობენიო, პინკელი, ხავი ნავარო, ესკუდე, პუერტა, დანი ალვეში (რენატო 55), პოულსენი, მარტი, ადრიანო კორეირა (აიტორ ოსიო 69), კერჟაკოვი (მარესკა 82), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: დოუსონი, კინგი, მალბრანკი, დეფო
გაძევება: ტაინიო (90)
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
35 284 მაყურებელი

***ვერდერი (გერმანია)* 4:1 ალკმაარი (ჰოლანდია) (0:0)**

1:0 ბოროვსკი (16), 1:1 დემბელე (32), 2:1, 3:1 კლოზე (36, 62), 4:1 დიეგო (82)
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, პასანენი, ნალდო, ოვომოიელა, ფრინგსი, ვრანიეში, ბოროვსკი (ბაუმანი 71), დიეგო, კლოზე (შინდლერი 84), ჰუნტი (უგო ალმეიდა 81)
მწვრთნელი: თომას შააფი
ალკმაარი: ვატერმანი, დე ზეუვი, ჯალენსი, დონკი, დე კლერი, ცენერი, ლუირინკი (შაარსი 46; ციომერი 71), დემბელე, მარტენსი, კოევერმანსი, არველაძე (ბუხარი 62)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ლუირინკი, დონკი, ვიზე, შაარსი
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
35 000 მაყურებელი

### ნახევარფინალი

ესპანიოლი — ვერდერი
ოსასუნა — სევილია

*პირველი მატჩები გაიმართება 26 აპრილს, საპასუხოები — 3 მაისს*

# მირომ ოთხნიშნა ორით შეწყვიტა


მიროსლავ კლოზე
AFP

**სამი** ესპანური გუნდი ისე გავიდა მეოთხედფინალში, რომ ექვს ნახევარფინალურ მატჩში ერთიც არ წაუგიათ. დიდი ამბით ემზადებოდა „ტოტენჰემი" უეფას თასის მფლობელ „სევილიას" დასამარცხებლად, მაგრამ მე-3 წუთზე მალბრანკს ისეთი მარცხი მოუვიდა, რომ „მამლები" ერთი საათი გონს ვერ მოვიდნენ. კარის ხაზთან მოსაგერიებლად მოქნეული ფეხი მალბრანკმა ბურთს ააცილა, მეორე ფეხზე მოხვდა და მასპინძელთა კარში შევარდა.

დაბნეულ „ტოტენჰემს" ხუთ წუთში ყოფილმა „მამალმა" ფრედერიკ კანუტმა მეორეც გაუტანა, თან ისე, რომ მეკარეც დააწვინა და ცარიელ კარში შეაგორა.

შესვენების შემდეგ შეცვლაზე შესულმა ჯერმენ დეფომ ქუსლით ერთი გაქვითა, რასაც უმალ მოჰყვა აარონ ლენონის გამთანაბრებელი და დამხვდურებს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ, მაგრამ დარჩენილ დროში სახეირო ვერაფერი შექმნეს.

1158-ე წუთზე შეწყვიტა მიროსლავ კლოზემ უგოლო სერია და „ალკმაარის" კარში გატანილი ოთხიდან ორი მისი იყო.

„მიროსლავი გულმოდგინედ ვარჯიშობდა და ვიცოდი, რომ მისი დროც დადგებოდა" — თქვა თომას შააფმა.

„ვერდერი" მეკარესთან პირისპირ გასულმა ტიმ ბოროვსკიმ დააწინაურა, ხოლო მუსა დებელემ ნახევარი საათის თავზე უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა.

ტაიმის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე კი კლოზეს ჯერი დადგა და მეკარის ბაქნის ხაზიდან შეაგდო.

მეორე ნახევარში მანვე, მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი საშინელი ძალით დაჰკრა და ცხრიანში შეჭედა, ბოლოს კი დიეგო ბრაზილიურად დაბზრიალდა საჯარიმოში და მეოთხე გაუტანა „ალკმაარს".

აღსანიშნავია, რომ შესვენებამდე სტუმრებს გოლი არ ჩაუთვალეს და ლუის ვან გაალმა მეოთხე მსაჯს უღრიალა.

ძელს მორტყმული ბურთები რომ ითვლებოდეს, ნახევარფინალში „ბენფიკა" გავიდოდა. ლისაბონელებმა უამრავი მომენტი ვერ გამოიყენეს, ორჯერ ძელიც შეატოკეს და მთელი მატჩის განმავლობაში ამაოდ უტრიალეს მეტოქის კარს. ეპიზოდებში საუცხოოდ ითამაშა სტუმართა მეკარე გორკა ირაისოსმა, „ესპანიოლი" კი ბოლო 19 წელიწადში პირველად გავიდა ამ ტურნირის ნახევარფინალში.

„ჩვენნაირი პატარა კლუბისთვის ეს უდიდესი მიღწევაა" — ხარობდა სტუმართა მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე.

ასევე პირველად ითამაშებს უეფას თასის ნახევარფინალში ნავარული „ოსასუნა", რომელმაც ერთი კვირის წინ ლევერკუზენშივე მოამთავრა საქმე და სტუმრად დაწყებულს შინ წერტილი დაუსვა ხუანლუს გოლით...

**ვაჟა ხუციშვილი**

# კრიშტიანუ რონალდუ: არის ხუთწლიანი!



**კრიშტიანუ რონალდუმ** „მანჩესტერთან" ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ბოლო მოუღო ჭორებს მადრიდის „რეალში" გადასვლის თაობაზე.

გახარებულმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ფანტასტიკური ამბავია. ეს ნიშნავს, რომ კრიშტიანუ აქ ბედნიერია და იმ კლუბშია, სადაც უნდა იყოს. ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს თანაგუნდელებთან, მწვრთნელებთან და შეუძლია, „მანჩესტერის" ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი გახდეს".

გუშინწინ ლონდონში ჩაბრძანდა „რეალის" სატრანსფერო საქმეების შეფი ფრანკო ბალდინი და რონალდუს აგენტს შეხვდა. რეალელები 80 მილიონ ევროს სთავაზობდნენ „მანჩესტერს", ფეხბურთელს კი წელიწადში ჯამაგირად 6 მილიონს. ამ საქმიდან ის გამოვიდა, რომ 22 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი „წითლებში" დარჩა.

რონალდუმ თქვა: „ძალიან გახარებული ვარ. ფერგიუსონს და აღმასრულებელ დირექტორ დევიდ გილს ვესაუბრე. ყველამ იცოდა, რომ აქ დარჩენა მსურდა. ბედნიერი ვარ „მანჩესტერში". ჯილდოების მოგება მინდა და ალბათ ამ სეზონშივე მოვიგებთ რამეს."

**ვაჟა ხუციშვილი**

# ლამაზი ბიჭის ცრემლები



**ოლიმპიური** ჩემპიონი ჭოკით ხტომაში ელენა ისინბაევა ფეხბურთის ქომაგი ყოფილა და გაირკვა, რომ კრიშტიანუ რონალდუს ეტრფის.

ელენას ბიჭი ევრო 2004-ზე შეჰყვარებია, როცა პორტუგალიამ ფინალში საბერძნეთთან წააგო და დამწუხრებულმა რონალდუმ ლაპალუპით ჩამოცრემლა.

„ძალიან მომხიბვლელია, თან დიდებული ფეხბურთელია — „დადნა" ისინბაევა — ეკრანზე მტირალი რომ დავინახე, ვთქვი, რა ლამაზია-მეთქი".



# ბოცოს როზინა შეატყობინეს შახტარმა ჯიბეები დაიკაპიწა

**ალესანდრო როზინასთვის** ბრძოლაში დონეცკის „შახტარიც" ჩაერთო — წერს „კონტროკამპო". „ტორინოს" მეგოლეს უკვე ეპატიჟებიან ევროგრანდები, იტალიაში კი ყველაზე მეტად „რომა" აქტიურობს. 22 წლის როზინას ხელფასი ამჟამად 300 ათასი ევროა და „ტორინო" ჯამაგირის მომატებას აპირებს ფეხბურთელის შესანარჩუნებლად. „შახტარი" კი მზადაა, ახლავე გადაიხადოს 15 მილიონი ევრო — დონეცკელები უკვე დაუკავშირდნენ როზინას აგენტ ბეპე ბოცოს.

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### IV ჯგუფი. V ტური

**ნასიონალი (ურუგვაი) 2:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**

1:0 გოდინი (34), 2:0 გ. კასტრო (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| ველეს სარსფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ინტერნასიონალი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| ემელეკი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |

### VII ჯგუფი. V ტური

**ბოლივარი (ბოლივია) 0:2 ტოლუკა (მექსიკა)**

0:1 პონსე (15), 0:2 ვ. სანჩესი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიენსიანო | 5 | 3 | 0 | 2 | 12:6 | 9 |
| ტოლუკა | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ბოკა ხუნიორსი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბოლივარი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |





რას მოსწევს საверიო ბორელი „იუვენტუსს“?

# კალჩოპოლი! იუვენტუსს ქულებს კიდევ აკლებენ

**იტალიაში** კალჩოპოლის სკანდალი, შესაძლოა, ხელახლა აგორდეს. საქმე ისაა, რომ ნეაპოლის პროკურატურა მთელი ამ ხნის მანძილზე აგრძელებდა გამოძიებას და საქმე ახლახან, თითქმის ერთი წლის მერე დახურა.

მთელი ეს საქმე, თავისი ფაქტებით, უკვე გადაევგზავნა ოპერაცია „სუფთა ფეხების“, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელ სავერიო ბორელის. ახლა მის დასკვნაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ამ ამბავში მთავარ დამნაშავედ „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი რომ მიიჩნევა, ალბათ, იცით. გავრცელებული ცნობით, „ბებერი ქალბატონი“, შესაძლოა, ხელახლა დასაჯონ და ქულები კიდევ ჩამოაჭრან.

შეგახსენებთ, რომ ტურინელებს ბოლო ორი სეზონის სკუდეტო ჩამოართვეს და სერია B-ში მინუს 9 ქულით დააქვეითეს.

„ჯერ კონკრეტული არაფერია, ასე რომ, უსაფუძვლო კომენტარებს აზრი არ აქვს“ — აღნიშნა ტურინელთა ადვოკატმა ლუიჯი კიაპერომ.

„იუვენტუსის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ კალჩოპოლისი „იუვენტუსით“ არ დაწყებულა და ხელებს ყველა ჩვენ ვერ შეგვახოცავს. ჩვენ უკვე დავისაჯეთ და ალბათ ზედმეტადაც. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შარშანდელი სკუდეტოს ჩვენთვის ჩამორთმევა და „ინტერისთვის“ გადაცემა სრული აბსურდია“.

როგორც იცით, გარდა „იუვენტუსისა“, დაისაჯნენ „ლაციო“, „მილანი“, „რეჯინა“ და „ფიორენტინა“, ახლა კი დიდი შანსია, „მესინასაც“ შავი დღე დაადგეს. სიცილიელთა ყოფილ სპორტულ დირექტორ მარიანო ფაბიანის შავი საქმეები ამოუქექეს.

„ჩვენ ყოველთვის ლეგალურ საქმიანობას ვეწეოდით და წესები არ დაგვირღვევია. ფაბიანი ცოტა ხანში ყველაფერს საჯაროდ განმარტავს“ — განაცხადა „მესინას“ პრეზიდენტმა პიეტრო ფრანცამ.

ნეაპოლის პროკურატურის დასკვნით, მატჩების ჩაწყობაში 48 ადამიანი იყო გარეული. 2004-05 წლების სეზონში კი 39 მატჩია საეჭვო და, სავარაუდოდ, გარიგებული. მათ შორისაა „დელე ალპიზე“ გამართული შეხვედრა „იუვენტუსსა“ და „მილანს“ შორის, რომელიც 0:0 დასრულდა.

„კონტრაქტი ტელეფონის საშუალებით ხდებოდა. მოჯი საიდუმლო სიმ-ბარათების წყალობით უკავშირდებოდა მატჩებზე მსაჯების დამნიშვნელებს, პაოლო ბერგამოსა და პიერლუიჯი პაირეტოს. ასევე „მესინას“ სპორტულ დირექტორ მარიანო ფაბიანის და მსაჯებს — ჯანლუკა პაპარესტას, სალვატორე რაკალბუტოს, სტეფანო კასარას, ანტონიო დატილოს, პაოლო ბერტინის, მარკო გაბრიელეს, ტიციანო პიერის, მარჩელო ამბროზინისა და მასიმო დე სანქტისს“ — ნათქვამია ნეაპოლის პროკურატურის განცხადებაში.

აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩამოთვლილი 9 მსაჯიდან ჯერჯერობით მხოლოდ დე სანქტისია დასჯილი.

**გიორგი კაკაბაძე**

# გემზე დაბადებული ფრანგი იუვეს მაკელელე გამოთქვალა

**ტურინის** „იუვენტუსი“ სადაცაა, რიო მავუბას იყიდის. 23 წლის ნიჭიერ ფრანგს „ბებერ ქალბატონს“ უკვე დიდი ხანია, უკავშირებენ. ახლა კი იტალიურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ხუთშაბათს მავუბა და მისი აგენტი ტურინში იყვნენ.

არც ერთ მხარეს ჯერჯერობით ამაზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მავუბა წარმოშობით ანგოლელია, გემზეა დაბადებული, თუმცა საფრანგეთის მოქალაქეა და უკვე „მამლების“ თავკაც რაიმონ დომენეკის ყურადღებასაც იმსახურებს.

„ბორდოს“ ნახევარმცველი კლუბთან 2009 წლამდეა დაკავშირებული, მაგრამ ჟირონდელები მის საrfიანად გაყიდვაზე ალბათ უარს არ იტყვიან — მავუბა დაახლოებით 11 მილიონ ევროდ ფასდება.

— „იუვენტუსი“ ჩემი ოცნების გუნდია. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი „არსენალსა“ და მადრიდის „რეალშიც“ — თქვა მავუბამ.

„ეკიპის“ ცნობით კი, „იუვენტუსი“ კლოდ მაკელელეთიც დაინტერესდა. ტურინელთა გათვლებით, 34 წლის ფრანგის ყიდვა 4 მილიონ გირვანქად შეიძლება.



დიდიე დეშანი ფრანგებს ტურინში ეპატიჟება

მაკელელეს „ჩელსისთან“ კონტრაქტი 2008-ში ეწურება. მას ორი წლით გახანგრძლივება სურდა, მაგრამ კლუბმა უარი უთხრა.

გარდა ამისა, „იუვეს“ მწვრთნელ დიდიე დეშანს „ლიონიდან“ ერიკ აბიდალის, „ბოლტონიდან“ კი ნიკოლა ანელკას ყიდვაც უნდა.

**გიორგი კაკაბაძე**

# კატანია უქომაგოდ დატოვეს

**„კატანიას“** ქომაგები, ქალაქის მერთან ერთად რომში ჩავიდნენ სამართლის საძიებლად — ისინი გუნდის მატჩებზე გულშემატკივრების დაშვებას ითხოვდნენ, მაგრამ უარით გაისტუმრეს.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინ კლუბმა კატანიის სასამართლოში ქომაგების დაშვების უფლება მოიპოვა, მაგრამ იტალიის ფეხბურთის შეფებმა ეს გადაწყვეტილება უკანონოდ სცნეს.

ამგვარად, „კატანია“ კვლავაც უგულშემატკივროდ ითამაშებს ნეიტრალურ მოედანზე სეზონის ბოლომდე.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| უდინეზე | : | კიევო |
| კალიარი | : | ემპოლი |
| **ხვალ** | | |
| ტორინო | : | ატალანტა |
| პარმა | : | კატანია |
| ასკოლი | : | ლაციო |
| მესინა | : | მილანი |
| ინტერი | : | პალერმო |
| ლივორნო | : | რეჯინა |
| რომა | : | სამპდორია |
| ფიორენტინა | : | სიენა |

# იტალია

# ყველამ თავის სერიას მიხედოს

**„სან სიროზე“** „ინტერს“ „პალერმო“ სტუმრობს და ტურის მთავარი მატჩიც ეს არის. „ნერაძურის“ ასი ქულის მოგროვება და ჩემპიონობის ოფიციალურად, რაც შეიძლება, მალე განაღდება განუზრახავს, სიცილიელებს კი ქულები ალბათ უფრო მეტად სჭირდებათ, ვიდრე მილანელებს, რადგან ბოლო დროს საზიზღარი შედეგები აქვთ და ფანებიც განაწყენებულნი არიან.

„პალერმოსთვის“ ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ დიდი უპირატესობა ქარს გაატანა და ახლა ერთ დროს გარანტირებულად მიჩნეული ოთხეული კი არა, უეფას თასის საგზურიც სათუო გაუხდა.

წინა ტურში, შინ „კალიარისთან“ მორიგი მარცხის შემდეგ „პალერმოს“ მწვრთნელ ფრანჩესკო გვიდოლინის მოხსნას უპირებდნენ, მაგრამ ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა და მისი სეზონის ბოლომდე დატოვება გადაწყვიტა.

ისიც ვთქვათ, რომ „ინტერი“ მიმდინარე სერია A-ში დაუმარცხებელია — რობერტო მანჩინის გუნდმა ჩემპიონატში ბოლოს მარკო მატერაცის საოცარი ავტოგოლით 2006 წლის 30 აპრილს წააგო „ემპოლისთან“.

„ინტერს“ ხულიო რიკარდო კრუზი ჰყავს დაშავებული, ბოლომდე ჯანზე არ არის ზლატან იბრაჰიმოვიჩიც. სიცილიელებს კი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაუბრუნდებათ. დანაკლისი დისკვალიფიცირებული ჯუზეპე ბიავა და მარკო პიზანო არიან, საკმაო ხნის წინ მძიმედ დაშავებული ამაური რომ აღარ ვახსენოთ...

მიუნხენის „ბაიერნის“ ძლევითა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლით ფრთაშესხმული „მილანი“ „მესინას“ სტუმრობს და აუცილებლად უნდა მოიგოს, თორემ მეოთხე ადგილის სხვა მაძიებლებს არ სძინავთ. „სტადიო სან ფილიპოს“ ბინადრებს კი სხვა საფიქრალი აქვთ — ბოლოდან მეორე ადგილზე არიან და ქულები ჰაერივით სჭირდებათ.

„მილანის“ შემადგენლობა, ფაქტობრივად, უძლიერესია. „მესინას“ კი ვინსენ კანდელა, მიცუ ოგასავარა და ანჯელო რეა არ ეყოლება. სათუოა ვეტერან არტურო დი ნაპოლის თამაში.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ შერცხვენილი „რომა“ ფანების თვალში ოდნავ მაინც რეაბილიტაციას საკუთარ „სტადიო ოლიმპიკოზე“ „სამპდორიასთან“ მატჩში შეეცდება. თუმცა „გლადიატორებს“ გენუელებთან იოლი გასეირნება ნამდვილად არ ექნებათ.

„რომას“ ახლა ორი მიზანიღა დარჩა — იბრძოლოს იტალიის თასის მოსაგებად (ფინალში „ინტერთან“) და მეორე ადგილი შეინარჩუნოს სერია A-ში, მით უმეტეს, მისი მდევარი მოსისხლე „ლაციოა“.

ლუჩანო სპალეტის მაქს ტონეტო, ალბერტო აკილანი და ჟილბერტო მარტინესი დააკლდებიან.

„სამპდორიას“ თავდასხმაში აქვს პრობლემები — გენუელები ემილიანო ბონაცოლის, ფრანჩესკო ფლაკის, მირკო პიერისა და ალესანდრო ბასტრინის მოისაკლისებენ. ვალტერ ნოველინო მთავარმეგოლე ფაბიო კალიარელას გარდა, შეტევაში ალბათ ისევ 18 წლის უკრაინელ ვლადიმირ კომანს გაამწესებს, რომლის დებიუტიც სერია A-ში წინა ტურში შედგა.

ტოსკანური დერბები, შესაძლოა, ძალიან პოპულარული არ იყოს, მაგრამ იტალიაში მათ დიდი ყურადღება ექცევა, მით უმეტეს, მთავარ ტოსკანურ დერბის და ამ ტურში სწორედ „ფიორენტინა“ — „სიენაა“. სხვათა შორის, იტალიელი სამართალდამცავები ამ დერბის ბევრად დიდ ენერგიასა და ყურადღებას უთმობენ ხოლმე, ვიდრე, ვთქვათ, რომაულ დერბის.

„იები“ რომელიმე ევროტურნირის საგზურისთვის იბრძვიან და ასეც რომ არ იყოს, ამ მატჩის მოსაგებად მაინც ყველაფერს გააკეთებდნენ. იგივე ითქმის „სიენაზეც“, რომელიც, „ფიორენტინასგან“ განსხვავებით, უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და ეს ჯერ გარანტირებული არ აქვს.

ფლორენციელები სრული შემადგენლობით არიან, მარიო ბერეტა კი ალბერტოს, ბრევისა და დანიელე გალოპას ვერ დაიხმარს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 30 | 25 | 5 | 0 | 63:23 | 80 |
| რომა | 30 | 18 | 8 | 4 | 58:23 | 62 |
| ლაციო | 30 | 17 | 7 | 6 | 52:24 | 55 |
| პალერმო | 31 | 13 | 9 | 9 | 44:37 | 48 |
| მილანი | 30 | 15 | 10 | 5 | 42:26 | 47 |
| ემპოლი | 30 | 12 | 9 | 9 | 33:31 | 45 |
| ფიორენტინა | 30 | 16 | 8 | 6 | 51:26 | 41 |
| სამპდორია | 30 | 10 | 9 | 11 | 37:36 | 39 |
| ატალანტა | 30 | 8 | 12 | 10 | 43:42 | 36 |
| უდინეზე | 30 | 9 | 9 | 12 | 38:43 | 36 |
| კალიარი | 30 | 7 | 12 | 11 | 26:33 | 33 |
| ლივორნო | 30 | 7 | 11 | 12 | 31:45 | 32 |
| ტორინო | 30 | 8 | 8 | 14 | 24:40 | 32 |
| კატანია | 31 | 8 | 8 | 15 | 37:60 | 32 |
| სიენა | 30 | 6 | 14 | 10 | 27:34 | 31 |
| კიევო | 30 | 6 | 10 | 14 | 32:41 | 28 |
| რეჯინა | 30 | 9 | 10 | 11 | 38:41 | 26 |
| პარმა | 30 | 5 | 10 | 15 | 25:48 | 25 |
| მესინა | 30 | 5 | 9 | 16 | 28:49 | 24 |
| ასკოლი | 30 | 3 | 10 | 17 | 22:49 | 19 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

„ასკოლი“ ცალი ფეხით უკვე სერია B-შია და მისგან სასწაულს, ალბათ, აღარავინ ელის. ბრწყინვალე ფორმაში მყოფი „ლაციო“ კი აუტსაიდერთან ჩემპიონატში მიჯრით მეცხრე გამარჯვებას შეეცდება.

დანარჩენი მატჩების დაწვრილებით ჩამოთვლას აღარ მოვყვებით, ისე კი, თუ სატურნირო ცხრილს ჩახედავთ, თავადაც დარწმუნდებით, რომ, ფაქტობრივად, ტურის ყველა მატჩს, „ტორინო“ — „ატლანტას“ გარდა, სატურნირო თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**გიორგი კაკაბაძე**



# მაურინიუ: შეხედეთ სიმშვიდეს!

ოთხ ტურნირში მოთამაშე „ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ თითქოს კარგ ხასიათზე უნდა იყოს, მაგრამ „მარკასთან" ინტერვიუში დაიწუწუნა, კლუბში არასტაბილური ვითარებაა, რამაც შესაძლოა, წასვლა მაიძულოსო.

„გუნდში, სადაც არეულობაა, ძნელია მუშაობა და ჯილდოების მოგება. მაგალითად, „მანჩესტერში" ყველაფერი მშვიდადაა. „არსენალი" ვერაფერს მოიგებს ამ წელს, მაგრამ იქაც სიმშვიდეა. „ლივერპულშიც" სიამტკბილობაა და ახალი პატრონი ფულზე არ წუწუნებს, რომელიც რაფაელ ბენიტესმა გუნდის გასაძლიერებლად სთხოვა. მე კი, პირიქით, მოხსნით მემუქრებიან. 13 კანდიდატია ჩემს ადგილზე, მათ შორის ბოლო მარკ ჰიუზია. არადა, ლიგის თასი უკვე მოვიგეთ და კიდევ სამი ჯილდოს მოგების შანსი გვაქვს".

**გაგა ხუციშვილი**

# მოჩხუბარი რომას

„**რომას**" „ლიონიდან" ნახევარმცველ ალიუ დიარას შეძენა უნდა და დაუკავშირდა კიდეც ფრანგებს.

დიარა ამას წინათ ჟერარ ულიეს წაეჩხუბა, რადგან მწვრთნელმა სათადარიგო გუნდში თამაში უბრძანა, მან კი იუარა. ულიემ ბოდიშის მოხდა სთხოვა და არ მოუხადა.

დიარა კლუბის გამოცვლაზე სერიოზულად ფიქრობს რაკი „ლიონში" უკვე ალარ დაედგომება.

**გაგა ხუციშვილი**

ჩემპიონთა ლიგის დამთავრებამდე ნახევარფინალური და ფინალური ბროლებია დარჩენილი, სულ ხუთი თამაში. შეიძლება ითქვას, მართალია, მთავარი წინაა, საქმე მაინც დასარულისკენ მიდის და უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმაც თავისი ორგანიზაციისვებგვერდსა და ტელეარხს ეს პატარა ინტერვიუ მისცა, სადაც ცოტა ლიგაზე თქვა, ცოტა გეგმებზე და ცოტაც ხულიგნობაზე...



# პლატინი: ნეტავ რას გრძნობენ ჩვეულებრივად მოგებულები?

— უამრავ გამოწვევათაგან თქვენი პრეზიდენტობის პირველივე ეტაპზე რომელი გამოიკვეთა ყველაზე მეტად?

— მთავარია, ფიფამ, სხვადასხვა ქვეყნების ფეხბურთის ასოციაციათა და მთელი საფეხბურთო სამყაროს დახმარებით, ჩვენი საყვარელი სახეობა ისე ვმართოთ, რომ ის პროდუქტად კი არ იქცეს, არამედ მშვენიერ თამაშად დარჩეს, იმ თამაშად ბავშვებს ასე ძალიან რომ უყვართ.

— ჩემპიონთა ლიგაზე რას იტყვით, რას წარმოადგენს ეს შეჯიბრი?

— აქ თავმოყრილია ყველაფერი საუკეთესო, რაც ევროპულ ფეხბურთში არსებობს. ეს შეჯიბრება ამტკიცებს, რომ კლუბებისთვის ევროპის უძლიერესის ტიტული უმნიშვნელოვანესია. ჩემპიონთა ლიგა ყოველთვის საგანგებო ყურადღების ცენტრშია და მას ნიადაგ უძლიერესი კლუბები იგებენ, თუმცა ამ კლუბების გარდა არსებობენ სხვებიც, რომლებიც ლიგის ისტორიას სიამოვნებით შემატებდნენ თავიანთ სახელს. კიდევ თვალშისაცემია ის, რომ ევროპულ კლუბებში თამაშობს უამრავი ფეხბურთელი აზიიდან, აფრიკიდან თუ სამხრეთ ამერიკიდან. მათი აქ წამოსვლა, ცხადია, აზიაში, აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაში ფეხბურთის დონეს დაბლა სწევს, მაგრამ ამით ევროპა ძლიერდება.

— თქვენ 1985 წელს „იუვენტუსის" შემადგენლობაში მოიგეთ ჩემპიონთა ლიგა, მაგრამ ის ზეიმი „ეიზელის" სტადიონზე დატრიალებულმა დიდმა ტრაგედიამ გადაფარა.

— მართლაც, მე ჩემპიონთა თასი საგანგებო მდგომარეობაში მოვიგე, ამიტომ ვერ გეტყვით, რას გრძნობენ ფეხბურთელები, რომლებიც წარმატებას ჩვეულებრივ პირობებში აღწევენ. ჩვენ ჯილდო გასახდელში ჩამოგვიტანეს და იქ გადმოგვცეს, ხალხისგან მალულად. ჩემთვის ეს ყველაფერი ფეხბურთის საძაგელი მხარის ზეიმი და გამოვლინება იყო.

— როგორ უნდა ვებრძოლოთ საფეხბურთო ხულიგნობას?

— ხულიგნები სტადიონებიდან და მოედნებიდან უნდა გავყაროთ. მოთამაშეები, რომლებიც ხულიგნებივით იქცევიან, სასტიკად უნდა დავსაჯოთ, თორემ ისინი ფეხბურთელის დადებით იმიჯს შელახავენ. გარდა ამისა, საფეხბურთო ხულიგნობის დასამარცხებლად მარტო უეფას ძალისხმევა არ იქნება საკმარისი. ჩვენ პოლიტიკოსების და პოლიციის მხარდაჭერა გვჭირდება. სტადიონებზე ისეთი უსაფრთხოების სამსახური უნდა მუშაობდეს, რომელიც ხიფათის შემთხვევაში წესრიგის დამყარებას მოახერხებს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ფეხბურთის ეთიკა და სახელი შეურყვნელი დარჩეს. ჩვენი შოუ შემოქმედებს უნდა მიჰყავდეთ, ოღონდ სპორტულ შედეგსაც მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დარჩეს.

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სიტი | : | ლივერპული |
| მიდლსბრო | : | ასტონ ვილა |
| პორტსმუთი | : | ნიუკასლი |
| რედინგი | : | ფულემი |
| შეფილდი | : | ვესტ ჰემი |
| არსენალი | : | ბოლტონი |
| **ხვალ** | | |
| უიგანი | : | ტოტენჰემი |
| ევერტონი | : | ჩარლტონი |
| **გადაიდო** | | |
| ჩელსი | : | მანჩესტერი |
| ბლექბერნი | : | უოტფორდი |

# ინგლისი

## მეთოფეებს ვაჟნები უთავდებათ

„**მანჩესტერს**" და „ჩელსის" დღეს და ხვალ ასოციაციის თასის ნახევარფინალური მატჩები აქვთ სათამაშო, რის გამოც პრემიერლიგის ცხრილის თავში არაფერი შეიცვლება. ამდენად, ტურის მთავარ მატჩად „არსენალი" — „ბოლტონი" გამოდის და სასწორზე ჩემპიონთა ლიგის საგზური დევს.

უკვე მესამე სეზონია, სემ ალარდაისის გუნდი ლონდონში არ მარცხდება, შინ კი უგებს არსენ ვენგერს. „მეთოფეებისთვის" „ბოლტონი" უხერხულ მეტოქედ იქცა და სტუმრები ამჯერადაც იმედიანად არიან. გამარჯვების შემთხვევაში ისინი მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ. მათ ხელს ისიც უწყობთ, რომ „არსენალი" ცუდ ფორმაშია — ვენგერის გუნდმა ბოლო ოთხ ტურში სამი წააგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

ლონდონელებს შეტევაში აშკარად დააკლედა დიდი ძალა — ტიერი ანრი და რობინ ვან პერსი, რომლებიც ამ სეზონში ველარ ითამაშებენ.

შაბათს „ვესტ ჰემთან" შინ წაგებულ (0:1) მატჩში „არსენალმა" 27-ჯერ დაარტყა კარში და ბურთი ბადეში ვერ შეაგდო.

„აუცილებლად უნდა მოვუგოთ „ბოლტონს", რათა მომავალ სეზონში კვლავ ვითამაშოთ ჩემპიონთა ლიგაში — თქვა სესკ ფაბრეგასმა — მართალია, „ვესტ ჰემთან" და „ნიუკასლთან" სამ დღეში გამართულმა ორმა მატჩმა დაგვღალა, მაგრამ არც „ბოლტონია" დასვენებული".

ბოლტონელებს დისკვალიფიკაციამოხდილი კაპიტანი კევინ ნოლანი დაუბრუნდათ, რომელმაც „არსენალს" შარშან გაუტანა სტუმრად.

„ძალიან კარგად ვიცი, როგორც უნდა ვეთამაშოთ „არსენალს" — განაცხადა ალარდაისმა — ჩვენს ტაქტიკას ისინი ვერაფერს უპირისპირებენ ხოლმე, მათ სისუსტეებს კი მშვენივრად ვიყენებთ."

კლასიკური ექვსქულიანი მატჩი გაიმართება შეფილდში, სადაც ბოლოხანს იშტაზე მოსული „ვესტ ჰემი" ჩაბრძანდება. „ჩაქუჩებმა" მიჯრით სამი შეხვედრა მოიგეს და პრემიერლიგაში დარჩენის კარგი შანსი გაუჩნდათ, „შეფილდმა" კი პირიქით, ზედიზედ სამი წააგო და მდგომარეობა გაიუარესა.

პირველ წრეში დაგროვებული ქულების წყალობით მეცხრე ადგილზე გამოჭიმული „რედინგი" გაზაფხულზე მოსუსტდა და ექვსი ტურია, არ მოუგია. რედინგელები „ფულემს" დაუხვდებიან, რომელსაც ახალი მწვრთნელი ჰყავს — ლოური სანჩესი, ვინც ამავდროულად ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების თავკაციცაა. სანჩესმა კრის კოულმენი შეცვალა და „ფულემის" პრემიერლიგაში დატოვება დაავალეს.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „ლივერპული" მანჩესტერში „სიტის" ეწვევა. სტიუარტ პირსის გუნდი მოფერიანდა და სამ მატჩში შეიდი ქულაც მოაგროვა, რამაც მეთორმეტე ადგილზე აწია და სახიფათო ზონას მოაშორა.

**გაგა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 2:0 | 0:1 | 4:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 3:2 | 2:0 | 4:1 | 3:1 | | 3:1 | 5:1 | 3:1 | 2:0 | | | 4:0 |
| 2 | ჩელსი | | | 1:0 | 1:1 | | | 1:0 | 2:1 | 2:2 | 1:0 | 3:0 | 3:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | 4:0 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 4:0 |
| 3 | ლივერპული | 0:1 | 2:0 | | 4:1 | 3:0 | 0:0 | 3:0 | 0:0 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | | 3:1 | 4:0 | | | 4:0 | 2:1 | 2:0 |
| 4 | არსენალი | 2:1 | | 3:0 | | | 1:1 | 3:0 | 2:2 | 2:1 | 1:1 | 6:2 | | 1:1 | 1:1 | | 2:1 | 4:0 | 3:0 | 0:1 | 3:0 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 2:0 | 3:1 | | 1:1 | 2:0 | 3:2 | | 2:1 | 1:2 | 0:0 | 0:0 | | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:0 | 4:0 | 1:0 |
| 6 | ევერტონი | | 2:3 | 3:0 | 1:0 | 1:0 | | 1:2 | | 1:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 0:1 | 4:1 | 2:2 | | 2:0 | 2:0 | 2:1 |
| 7 | ტოტენჰემი | 0:4 | 2:1 | 0:1 | | 4:1 | 0:2 | | 2:1 | 1:0 | 2:3 | | | 2:1 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 5:1 | 2:0 | 1:0 | 3:1 |
| 8 | პორტსმუთი | 2:1 | 0:2 | | | 0:1 | 2:0 | 1:1 | | 3:1 | | 3:0 | 2:1 | 0:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 3:1 | 2:0 | 2:1 |
| 9 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 1:2 | 0:4 | 1:0 | 0:2 | 3:1 | 0:0 | | | 1:2 | 1:0 | 3:2 | 2:0 | | 3:2 | 2:0 | 3:1 | 6:0 | |
| 10 | ნიუკასლი | 2:2 | | 2:1 | 0:0 | 1:2 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 3:2 | | | 0:1 | 0:0 | 3:1 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 2:2 | 2:1 |
| 11 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 1:0 | 0:2 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | | 1:3 | | 4:2 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 2:1 | | 2:1 | 1:2 | |
| 12 | სიტი | | : 0:1 | | 1:0 | 0:2 | 2:1 | 1:2 | 0:0 | 0:2 | 0:0 | 0:3 | | 1:0 | | 3:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 2:0 | 0:0 |
| 13 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 5:1 | 2:1 | | 0:4 | 2:1 | 1:0 | 0:1 | 0:2 | | | | 1:1 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 4:1 |
| 14 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | 0:0 | : 0:1 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 2:1 | 2:0 | 2:0 | 1:3 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 2:0 | | 1:0 | 2:0 |
| 15 | ფულემი | 1:2 | 0:2 | | 2:1 | 1:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:1 | 2:1 | | 1:3 | 2:1 | 1:1 | | 0:1 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 0:0 |
| 16 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:4 | 0:1 | 1:3 | 0:2 | | 1:0 | 1:0 | 1:0 | 0:3 | 4:0 | | 0:0 | 0:0 | | 3:2 | 0:1 | | 1:1 |
| 17 | ჩარლტონი | 0:3 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 2:0 | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:3 | 2:1 | 2:2 | 1:0 | | | 4:0 | 0:0 |
| 18 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:1 | 1:0 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 2:2 | 2:0 | | 2:1 | | | |
| 19 | ვესტ ჰემი | 1:0 | | 1:2 | 1:0 | | | 3:4 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:1 | 2:0 | 1:1 | 3:3 | 0:2 | 3:1 | 1:0 | | 0:1 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | 0:1 | 0:3 | 1:2 | 0:1 | 0:3 | 0:0 | 4:2 | 0:0 | | 2:1 | | 2:0 | 0:0 | 3:3 | : 1:1 | 2:2 | 0:1 | 1:1 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | 32 | 25 | 3 | 4 | 75:23 | 78 | 14 | 1 | 1 | 43:10 | 43 | 11 | 2 | 3 | 32:13 | 35 |
| 2 | ჩელსი | 32 | 23 | 6 | 3 | 56:19 | 75 | 12 | 4 | 0 | 34:8 | 40 | 11 | 2 | 3 | 22:11 | 35 |
| 3 | ლივერპული | 32 | 18 | 6 | 8 | 50:22 | 60 | 12 | 3 | 1 | 33:5 | 39 | 6 | 3 | 7 | 17:17 | 21 |
| 4 | არსენალი | 32 | 16 | 8 | 8 | 52:29 | 56 | 9 | 5 | 1 | 34:12 | 32 | 7 | 3 | 7 | 18:17 | 24 |
| 5 | ბოლტონი | 33 | 16 | 6 | 11 | 40:40 | 54 | 9 | 4 | 4 | 23:15 | 31 | 7 | 2 | 7 | 17:25 | 23 |
| 6 | ევერტონი | 33 | 13 | 12 | 8 | 44:29 | 51 | 9 | 4 | 3 | 26:12 | 31 | 4 | 8 | 5 | 18:17 | 20 |
| 7 | ტოტენჰემი | 32 | 14 | 6 | 12 | 44:45 | 48 | 11 | 1 | 4 | 29:18 | 34 | 3 | 5 | 8 | 15:27 | 14 |
| 8 | პორტსმუთი | 33 | 12 | 10 | 11 | 41:37 | 46 | 9 | 4 | 3 | 24:13 | 31 | 3 | 6 | 8 | 17:24 | 15 |
| 9 | რედინგი | 33 | 13 | 6 | 14 | 44:41 | 45 | 9 | 2 | 5 | 27:18 | 29 | 4 | 4 | 9 | 17:23 | 16 |
| 10 | ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 36:41 | 41 | 7 | 6 | 4 | 23:18 | 27 | 4 | 2 | 10 | 13:23 | 14 |
| 11 | ბლექბერნი | 32 | 12 | 4 | 16 | 38:47 | 40 | 7 | 2 | 7 | 21:20 | 23 | 5 | 2 | 9 | 17:27 | 17 |
| 12 | სიტი | 32 | 11 | 7 | 14 | 26:35 | 40 | 5 | 5 | 6 | 10:13 | 20 | 6 | 2 | 8 | 16:22 | 20 |
| 13 | მიდლსბრო | 32 | 10 | 9 | 13 | 36:39 | 39 | 9 | 3 | 4 | 25:17 | 30 | 1 | 6 | 9 | 11:22 | 9 |
| 14 | ასტონ ვილა | 33 | 8 | 15 | 10 | 33:38 | 39 | 6 | 7 | 4 | 17:14 | 25 | 2 | 8 | 6 | 16:24 | 14 |
| 15 | ფულემი | 33 | 7 | 14 | 12 | 34:52 | 35 | 6 | 6 | 5 | 16:17 | 24 | 1 | 8 | 7 | 18:35 | 11 |
| 16 | უიგანი | 33 | 9 | 7 | 17 | 32:49 | 34 | 5 | 3 | 8 | 15:23 | 18 | 4 | 4 | 9 | 17:26 | 16 |
| 17 | ჩარლტონი | 33 | 8 | 8 | 17 | 29:49 | 32 | 7 | 4 | 6 | 18:17 | 25 | 1 | 4 | 11 | 11:32 | 7 |
| 18 | შეფილდი | 32 | 8 | 7 | 17 | 26:47 | 31 | 5 | 6 | 5 | 19:19 | 21 | 3 | 1 | 12 | 7:28 | 10 |
| 19 | ვესტ ჰემი | 32 | 8 | 5 | 19 | 26:51 | 29 | 6 | 2 | 8 | 19:21 | 20 | 2 | 3 | 11 | 7:30 | 9 |
| 20 | უოტფორდი | 33 | 4 | 11 | 18 | 24:53 | 23 | 3 | 7 | 7 | 17:23 | 16 | 1 | 4 | 11 | 7:30 | 7 |

# პაემანი ფინალში

## ინგლისი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ



„მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდასხმას მკვლელი უწოდა — ამ ორი გუნდის გზები ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გადაიკვეთა. საინტერესოა, რომ ანჩელოტის ნათქვამი ინგლისში გამეფებულ განწყობას აძლიერებს: კუნძულზე სრულიად დარწმუნებულები არიან, რომ მეოთხედფინალში „რომას" 7:1 განადგურების შემდეგ მორიგ იტალიელ მეტოქესთან ალექს ფერგიუსონის ბიჭები უპირობო ფავორიტები არიან.

„მე ვუყურე „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „რომას" თამაშს. იმ დღეს მანჩესტერელთა თამაში ადამიანს შეაშინებდა. ისინი დაცვაში სოლიდურნი, კონტრშეტევებისას კი მკვლელნი იყვნენ — თქვა ანჩელოტიმ, რომელსაც მეორე მხრივ, თავისი გამოცდილი მცველების ეიმედება — მიხარია, რომ ჩემი დაცვის მთავარი გმირები ნელ-ნელა ფორმას იბრუნებენ. ეს ბიჭები 2003 წლიდან ერთად არიან და მწამს, დღესაც მსოფლიოს საუკეთეო უკანა ხაზად რჩებიან. მერედა, არ დაგვავიწყდეს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან" საპასუხო შეხვედრას შინ, „სან სიროზე" ვთამაშობთ. არ არის გამორიცხული, ამ ფაქტმა თავისი მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს".

ამასობაში კი მილანელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ყველას და, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, თავის ფეხბურთელებს შეახსენებს, რომ ამ, თითქმის უკვე ბოლოში გასულ სეზონში მთავარი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

„სილვიო ბერლუსკონი ჩვენი კლუბის პრეზიდენტად 1987 წლის 1 ივლისს აირჩიეს, რის მერეც „მილანის" მიზანი ევროპის უძლიერესი გუნდობაა. დღეს ამ თარიღიდან 20 წელია გასული და ჩვენ კვლავ მყარად ვდგავართ. ჩვენი გამარჯვებები დასტურია იმისა, რომ „მილანის" ძარღვებში სილვიო ბერლუსკონის ჩასხმული სისხლი დუღს. ვინმესთან შედარებისთვის არ ვამბობ, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩვენ შვიდჯერ ვიყავით ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ორჯერ ნახევარფინალში და კიდევ რამდენჯერმე მეოთხედფინალში. დღეს ჩემპიონთა ლიგაში ასეთი სიტუაციაა: ინგლისი დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ. დანარჩენი მსოფლიო ჩვენ ვართ. გვეშინია თუ არა „ოლდ ტრაფორდის"? არა, რატომ უნდა გვეშინოდეს?! ჩვენ ამ სტადიონზე ოთხი წლის წინ ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. მერედა, ფინალში ანდრეი შევჩენკოსთან გვაქვს პაემანი დანიშნული. ფინალი ასეთი იქნება: „მილანი" — „ჩელსი".

**ბაპუნა ძიდია**

# პრემიები იქნება?

ოთხივე ტურნირის მოგების შემთხვევაში „ჩელსის" ფეხბურთელები 14 მილიონ გირვანქა პრემიას მიიღებენ. „დეილი მეილის" ცნობით, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლისვის მათ უკვე ჩაიჯიბეს 750 ათასი. ლიგას თუ მოიგებენ, 3 მილიონს დაუმატებენ. თუ სასწაული მოხდა და, უკვე მოპოვებულ ლიგის თასს კიდევ სამ ჯილდოს მიამატებენ, მაგალითად, დიდიე დროგბა 737 ათასი გირვანქით გამდიდრდება.

შედარებისთვის, „მანჩესტერი" სამი ჯილდოს მოგების შემთხვევაში 5 მილიონ 60 ათასს მიიღებს — თითოეულ ფეხბურთელს 350 ათასი ერგება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მარადონა: უკან, ჰოსპიტალში

ოთხშაბათს ჰოსპიტალიდან გამოწერილი დიეგო მარადონა ისევ სამკურნალო დაწესებულებაში შეაბრუნეს.

46 წლის არგენტინელი წნევის მკვეთრი დაცემის გამო ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გუშინ დილით მიიყვანეს. მანამდე კი ალკოჰოლური ჰეპატიტის დიაგნოზით იწვა ბუენოს აირის ჰოსპიტალში.

## არკა და ლეჩნა ამხილეს

პოლონური გუნდები, „არკა" და „ლეჩნა" თამაშების ჩაწყობაში ამხილეს და ქვედა ლიგებში მოისროლეს. „არკა" მომავალ სეზონს მეორე, ხოლო „ლეჩნა" მესამე დივიზიონში დაიწყებს. გარდა ამისა, პირველი 70 ათასი, ხოლო მეორე გუნდი 90 ათასი დოლარით დააჯარიმეს.

„ესაა უპრეცედენტო სასჯელი პოლონური ფეხბურთის ისტორიაში — განაცხადა სადისციპლინო კომიტეტის შეფმა მიხალ ტომჩაკმა — გარიგებული მატჩების მონაწილეებს არ დავინდობთ".

## ოლამ ულიე დატოვა

„ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამ განაცხადა, რომ გუნდს მომავალ სეზონშიც ჟერარ ულიე უთავკაცებს..

„გარწმუნებთ, ულიე კვლავაც ჩვენთან იმუშავებს და მინდა, რომ სრული ნდობა გამოვუცხადო".

„ლივერპულის" ყოფილმა მწვრთნელმა „ლიონი" 2005 წელს ჩაიბარა და ჩემპიონი გახადა, საამსეზონო ჩემპიონთა ლიგაში კი მერვედფინალში „რომასთან" დამარცხდა. ულიემ ისიც თქვა, რომ გუნდიდან არ წავლენ გრეგორი კუპე და ჟუნინიო.

## მასედო მოგვარებულია

მოსკოვის „სპარტაკმა" თითქმის მოაგვარა მარსელო მასედოს ტრანსფერი — ბრაზილიური „მადურეირას" 24 წლის ფორვარდი რუსებს 5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ამჟამად მიდის მოლაპარაკება ფეხბურთელის ჯამაგირზე.

მასედო, რომელსაც „ფლუმინენსეშიც" უთამაშია, „სპარტაკს" რომან პავლიუჩენკოს მეწყვილედ უნდა.

## ფუნკელი მოხსნის პირას

ფრანკფურტის „აინტრახტის" მწვრთნელ ფრიდჰელმ ფუნკელს მოხსნა ემუქრება — წერს „შპორტალი". გუნდი მე-15 ადგილზეა და გარდა იმისა, რომ გასავარდნი ზონისგან ქულა აშორებს, შინაური საქმეებიც აეწეწა. ორიოდ დღის წინ ფუნკელმა და დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა მედიის საშუალებით ერთმანეთი გაკენწლეს..

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| გლადბახი | : | ჰამბურგი |
| *წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| **დღეს** | | |
| ბოხუმი | : | ჰერტა |
| შტუტგარტი | : | ჰანოვერი |
| არმინია | : | აინტრახტი |
| კოტბუსი | : | ვოლფსბურგი |
| ნიურნბერგი | : | ალემანია |
| მაინცი | : | შალკე |
| **ხვალ** | | |
| ბაიერნი | : | ლევერკუზენი |
| დორტმუნდი | : | ვერდერი |

# გერმანია

## შალკე ლინკოლნში ჩაჯდება

„შალკეს" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ლინკოლმა ხუთმატჩიანი სასჯელი მოიხადა და დღეს მაინცში ითამაშებს. ლინკოლნი ძალიან აკლდა გუნდს, რომელმაც ბოლო შვიდ ტურში ორი შეხვედრა მოიგო. „ხუმარების" ფეხბურთელმა ფაბიან ერნსტმა კი განაცხადა, რომ ჩემპიონობა თუ გვსურს, მაინციდან სამი ქულით უნდა დავბრუნდეთო. თავის მხრივ, ერნსტმა დისკვალიფიკაციის გამო წინა ტურის მატჩი გამოტოვა და დღეს ისიც მოედანზე იქნება.

„შალკეს" 1958 წლის შემდეგ არ მოუგია ჩემპიონატი და ამ სეზონში ძალიან ახლოსაა ოქროსთან.

— „მაინცი" ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის და ვიცით, რომ მძიმე თამაში გველის, მაგრამ თუ ჩემპიონობაზე გვაქვს პრეტენზია, ასეთ გუნდს აუცილებლად უნდა მოვუგოთ — თქვა ერნსტმა.

„ხუმარებს" მსუბუქად ტრავმირებულები ჰყავთ სორენ ლარსენი და ჰალილ ალტინტოპი.

აღსანიშნავია, რომ „მაინცმა" „შალკე" შარშან და შარშანწინ ორივე საშინაო შეხვედრაში დაამარცხა.

ევროთასების მეოთხედფინალებიდან გავარდნილნი, „ბაიერნი" და „ლევერკუზენი" ერთმანეთს მიუნხენში ხვალ დაეჯახებიან. „ფარმაცევტებს" ტრავმების გამო როკე ჟუნიორი და კარსტენ რამელო დააკლდებათ, ბერნდ შნაიდერი კი დისკვალიფიცირებულია. მასპინძლებს დაშავებული ჰყავთ მეჰმეთ შოლი და ბასტიან შვაინშტაიგერი.

„ახლა ერთი საფიქრალი გვაქვს. მთელი ყურადღება ბუნდესლიგაზე უნდა გადავიტანოთ და მეორე-მესამე ადგილის დაკავებაზე ვიზრუნოთ" — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი დრამატული გამოდგა — „ლევერკუზენი" იგებდა და „ბაიერნმა" ბოლოს გამოჰგლიჯა სამი ქულა.

ზედიზედ ორი მატჩის მომგები მესამეადგილოსანი „შტუტგარტი" „ჰანოვერს" უმასპინძლებს, რომელსაც უკვე ხუთი ტურია, არ უმარჯვია.

— „ჰანოვერი" კონტრშეტევაზე ძალიან კარგად თამაშობს — თქვა შტუტგარტელთა მწვრთნელმა არმინ ფეემ — მათ ხომ შემოდგომაზე მიუნხენში თვით „ბაიერნი" დაამარცხეს, მაგრამ ჩვენ ახლა შესანიშნავ ფორმაში ვართ და სამი ქულის აღება გვმართებს".

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰიცლშპერგერი და მანინი დააკლდებათ.

ბოლო შვიდ ტურში ოღენ ქულის ამღებ „ჰერტას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — კარსტენ ჰეინე. მისი დებიუტი ბოხუმში შედგება, „ბოხუმმა" კი ზედიზედ ორი თამაში მოიგო და კარგ ფორმაშია.

„ვერდერი" უკვე ექვსი ტურია, არ დამარცხებულა და „ალკმაარის" ძლევით გალაღებული ჩავა დორტმუნდში. „შავ-ყვითლების" მწვრთნელმა თომას დოლმა, რომელიც ორი კვირის წინ მივიდა გუნდში, პირველი გამარჯვება გასულ უქმეებზე „ალემანიასთან" იზეიმა და ახლა საკუთარი ქომაგების თვალწინ ეცდება გამარჯვებას. შინ კი „დორტმუნდს" კარგა ხანია, არ მოუგია...

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | ■ | 2:0 | 1:0 | 2:2 | 0:1 | | 2:0 | | 2:0 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 0:2 | 3:1 | 1:1 | | 4:0 | 2:0 | 28 | 17 | 5 | 6 | 44:27 | 56 | 10 | 2 | 2 | 25:10 | 32 | 7 | 3 | 4 | 19:17 | 24 |
| 2 | ვერდერი | 0:2 | ■ | 2:3 | 3:1 | 2:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 3:1 | 3:0 | 3:0 | | 0:2 | 1:3 | | 3:0 | 2:0 | 3:0 | 28 | 16 | 6 | 6 | 62:33 | 54 | 10 | 1 | 4 | 29:15 | 31 | 6 | 5 | 2 | 33:18 | 23 |
| 3 | შტუტგარტი | 3:0 | 4:1 | ■ | | 3:0 | 0:3 | 0:0 | | 0:0 | | 1:0 | 3:1 | 2:0 | 1:3 | 1:1 | 3:2 | | 1:0 | 28 | 15 | 7 | 6 | 50:33 | 52 | 8 | 3 | 2 | 22:11 | 27 | 7 | 4 | 4 | 28:22 | 25 |
| 4 | ბაიერნი | 2:0 | 1:1 | 2:1 | ■ | | 0:0 | 2:1 | 2:1 | 4:2 | 0:1 | 0:0 | 2:1 | | 2:0 | 2:0 | 1:0 | | 1:1 | 28 | 15 | 5 | 8 | 43:32 | 50 | 9 | 4 | 1 | 21:9 | 31 | 6 | 1 | 7 | 22:23 | 19 |
| 5 | ლევერკუზენი | 3:1 | 0:2 | 3:2 | 2:3 | ■ | | 1:1 | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:4 | 3:0 | 1:2 | | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 28 | 12 | 6 | 10 | 44:41 | 42 | 6 | 3 | 5 | 23:21 | 21 | 6 | 3 | 5 | 21:20 | 21 |
| 6 | ნიურნბერგი | 0:0 | 1:2 | 4:1 | 3:0 | 3:2 | ■ | | 1:0 | 2:1 | 3:1 | 1:1 | | | 1:1 | 2:2 | 1:1 | 1:1 | 1:0 | 28 | 9 | 14 | 5 | 38:26 | 41 | 7 | 6 | 1 | 24:13 | 27 | 2 | 8 | 4 | 14:13 | 14 |
| 7 | ვოლფსბურგი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 3:2 | 1:1 | ■ | 0:0 | 0:0 | 1:2 | 3:1 | 1:2 | 1:0 | | 2:2 | | 3:2 | 1:0 | 28 | 8 | 11 | 9 | 30:32 | 35 | 6 | 6 | 2 | 20:15 | 24 | 2 | 5 | 7 | 10:17 | 11 |
| 8 | კოტბუსი | 2:4 | 0:0 | 0:0 | | | 1:1 | | ■ | 2:0 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 2:2 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 2:0 | 3:1 | 28 | 9 | 8 | 11 | 32:37 | 35 | 4 | 5 | 5 | 16:16 | 17 | 5 | 3 | 6 | 16:21 | 18 |
| 9 | ჰერტა | 2:0 | | 2:2 | 2:3 | | 2:1 | 2:1 | 0:1 | ■ | 4:0 | 3:3 | 2:1 | 2:1 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:1 | 28 | 9 | 8 | 11 | 38:45 | 35 | 8 | 3 | 3 | 26:17 | 27 | 1 | 5 | 8 | 12:28 | 8 |
| 10 | ჰანოვერი | 1:1 | 2:4 | 1:2 | 1:2 | 1:1 | | 2:2 | | 5:0 | ■ | 0:2 | 0:3 | 0:0 | 4:2 | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 28 | 9 | 8 | 11 | 34:41 | 35 | 3 | 6 | 5 | 20:21 | 15 | 6 | 2 | 6 | 14:20 | 20 |
| 11 | ბოხუმი | | 0:6 | | 1:2 | 1:3 | 0:2 | 0:1 | 0:1 | | 2:0 | ■ | 2:2 | 2:1 | 2:0 | 4:3 | 2:1 | 0:1 | 2:0 | 28 | 9 | 6 | 13 | 36:43 | 33 | 6 | 1 | 7 | 18:23 | 19 | 3 | 5 | 6 | 18:20 | 14 |
| 12 | ალემანია | 0:1 | 2:2 | 2:4 | 1:0 | 2:3 | 1:1 | | 1:2 | | 1:4 | 2:1 | ■ | 3:3 | 1:4 | 2:3 | 2:0 | 2:1 | 4:2 | 28 | 9 | 6 | 13 | 43:52 | 33 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 | 4 | 3 | 6 | 17:21 | 15 |
| 13 | ჰამბურგი | 1:2 | 1:1 | 2:4 | 1:2 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | ■ | 3:0 | 3:1 | 1:1 | | 1:1 | 28 | 6 | 14 | 8 | 32:31 | 32 | 3 | 8 | 3 | 16:14 | 17 | 3 | 6 | 5 | 16:17 | 15 |
| 14 | დორტმუნდი | | | 0:1 | 3:2 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 2:3 | 1:2 | 2:2 | 1:1 | 0:0 | 1:0 | ■ | | 1:1 | 1:1 | 1:0 | 28 | 8 | 8 | 12 | 33:39 | 32 | 4 | 6 | 4 | 15:15 | 18 | 4 | 2 | 8 | 18:24 | 14 |
| 15 | აინტრახტი | 1:3 | 2:6 | 0:4 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 0:0 | 1:3 | | 2:0 | | | 2:2 | 1:1 | ■ | 0:3 | 0:0 | 1:0 | 28 | 6 | 13 | 9 | 35:48 | 31 | 4 | 5 | 5 | 16:25 | 17 | 2 | 8 | 4 | 19:23 | 14 |
| 16 | არმინია | 0:1 | | 2:3 | 2:1 | 0:0 | 3:2 | 0:0 | 3:1 | 2:2 | | 1:3 | 5:1 | 1:1 | 1:0 | | ■ | 1:0 | 0:2 | 28 | 7 | 9 | 12 | 33:37 | 30 | 6 | 4 | 4 | 21:17 | 22 | 1 | 5 | 8 | 12:20 | 8 |
| 17 | მაინცი | | 1:6 | 0:0 | 0:4 | 1:3 | 2:1 | 1:2 | 4:1 | 1:1 | | 2:1 | 1:3 | 0:0 | 1:0 | 1:1 | 1:0 | ■ | | 28 | 7 | 9 | 12 | 26:43 | 30 | 5 | 4 | 5 | 16:23 | 19 | 2 | 5 | 7 | 10:20 | 11 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:2 | 2:2 | | | 0:2 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 3:1 | 0:1 | | 0:0 | | 1:0 | 1:1 | 1:0 | 1:1 | ■ | 28 | 6 | 7 | 15 | 22:35 | 25 | 5 | 5 | 3 | 14:11 | 20 | 1 | 2 | 12 | 8:24 | 5 |

ანტონიო რამალეტსმა „ბარსელონა“ 1961 წელს, თხუთმეტწლიანი კარიერის შემდეგ დატოვა. „ფრთოსანი კატა“ ხუთჯერ გახდა მეკარე, რომელმაც სეზონში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა. ტონიმ „ბარსასთან“ ერთად 6 პრიმერადივიზიონი, 2 ბაზრობათა თასი, 2 კოპა დელ ხენერალისიმო (დღევანდელი კოპა დელ რეი) და 2 კოპა ლატინა მოიგო.

რამალეტსს ესპანეთის ნაკრებშიც საკმაო მიღწევები აქვს — სწორედ ის იდგა „ფურია როხას“ კარში, როცა 1950 წელს ესპანელებმა ბრაზილიურ მუნდიალზე მეოთხე ადგილი დაიკავეს. არც იქამდე და არც შემდეგ კასტილიელები მუნდიალზე ასე შორს არ ნასულან...

სხვათა შორის, 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი 82 წლის რამალეტსისთვის სხვა, ანეკდოტური ამბითაცაა მოსაგონარი — ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას გუნდისთვის შეპირებული პრემიის ნაწილი ჯერაც არ გადაუხდია...

# ფეხბურთი აღარ მიყვარს

## სად არის ჩვენი პრემიები? ანტონიო რამალეტსი 57 წლის წინანდელ ფულს ითხოვს

— თანამედროვე ფეხბურთზე რას იტყვით? რა შეიცვალა ყველაზე მეტად?

— ფეხბურთი ისე აღარ მიყვარს, როგორც ადრე მიყვარდა. როცა თამაში დავიწყე, ჩემ წინ მხოლოდ ორი მცველი იდგა, ხოლო როცა კარიერას ვამთავრებდი — ხუთი. ფეხბურთი იმიტომ არსებობს, რომ ხალხმა გატანილი გოლები ნახოს — რა თქმა უნდა, თუ შენს კარში შეაგდებენ, ცუდია, მაგრამ გინდა, არ გინდა, ამ თამაშში ყველაზე მთავარი მაინც გოლია. ალბათ უკეთესი იქნება, თუ გუნდები 3 მცველით ითამაშებენ.

— თქვენთვის საუკეთესო რჩევა რომელი იყო?

— ერთხელ ერთმა ჭკვიანმა კაცმა მითხრა, მოედანზე სხვა ყველაფერი დაივიწყე და მარტო საკუთარი ძალებისა ირწმუნეო. ბრწყინვალე რჩევა იყო.

— ხანგრძლივი კარიერა გქონდათ. გვიამბეთ ერთი დაუვიწყარი მოგონების და ერთი იმ ამბის შესახებ, რომლის გახსენებაც არ გინდათ...

— მადლობა ღმერთს, ბევრი კარგი მოსაგონარი მაქვს. მაგალითად, ბრაზილიურ მუნდიალზე წასაყვანად რომ შემარჩიეს, ან „ბარსაში“ მოგებული ამდენი ჯილდოები... ცუდიც იყო, რისი გახსენებაც ნამდვილად არ მინდა. ცხადია, 1961 წლის ჩემპიონთა თასის ფინალზე მოგახსენებთ, როცა „ბენფიკასთან“ 2:3 წავაგეთ... ეს ყველაზე უიღბლო დღე იყო ჩემს კარიერაში. „ბარსელონამ“ ბურთი ძელს ხუთჯერ მოარტყა, პორტუგალიელებმა კი ოთხი საგოლე მომენტიდან სამი გამოიყენეს...

— რაიმე სასაცილო სიტუაციას ხომ არ გაიხსენებდით „ბარსასთან“ დაკავშირებით?

— ბევრი იყო ასეთი, რადგანაც მხიარული გუნდი ვიყავით და მოედანზე ბევრს ვერთობოდით. ანეკდოტების ოსტატი მანჩონი იყო, სულ იცინოდა და ჩვენც გვამხიარულებდა... მე კი „ღრიალას“ ავტორიტეტი მქონდა, სულ ვყვიროდი... ცუდი ურთიერთობა არც ერთ მწვრთნელთან არ მქონია. მახსოვს, ელენიო ერერას ჩემი სჯეროდა და სოაცრად მენდობოდა. მატჩების წინ მხარზე ხელს დამარტყამდა და მეტყოდა: „ანტონიო, აბა შენ იცი...“

— საუკეთესო გოლი და საუკეთესო მოგერიებული დარტყმა, რომელიც ცხოვრებაში გინახავთ...

— მიჭირს ამორჩევა... საუკეთესო მოგერიებაზე გეტყვით: ეს 1950 წელს მოხდა, როცა ბრაზილიაში ერთი ძელიდან მეორესთან გადავხტი და ჩილელი ფეხბურთელის ჩახვეული დარტყმა ავიღე. იმ ჩილელის გვარი არ მახსოვს, თუმცა GATO CAN ALAS („ფრთოსანი კატა“) სწორედ მაშინ შემარქვეს.

— და ის გადაუხდელი პრემია?

— ჰო, ეგ მართლაც იუმორისტული ამბავია. 1950-ში მეოთხე ადგილი დავიკავეთ, ფედერაციამ პრემიალური თანხა კი მოგვცა, მაგრამ 37-37 ათასი დაგვაკლო. ერთხელაც იქნება, ანხელ მარია ვილიართან (ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის დღევანდელი თავკაცი) მივალ და ხუმრობით ვეტყვი, ჩემთვის და ბიჭებისთვის დრო უკვე ძალიან ჩქარა გარბის-თქო.

— დაგვისახელეთ მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილი ფეხბურთელი...

— კუბალა.

— მადრიდის „რეალიდან“ „ბარსელონაში“ რომელ ფეხბურთელს გადაიყვანდით?




— თავის დროზე ალფრედო დი სტეფანოს, ახლა კი... გუტის. ექსტრაორდინალური მოთამაშეა.

— რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ თანამედროვე „ბარსელონაში“?

— მებრძოლი სული მომწონს — სულ გამარჯვებისკენ ისწრაფვიან. ხოლო უარყოფითი მხარე ისაა, რომ ხანდახან ძალიან სულსწრაფები არიან.

— რატომ ნიშნავს „ბარსელონა“ უფრო მეტს, ვიდრე ერთ, თუნდაც დიდ კლუბს?

— „ბარსა“ უფრო მეტია, ვიდრე გუნდი — ეს სიტყვები პრეზიდენტ ნარსის დე კარერას ეკუთვნის. ჩემთვის „ბარსელონა“ დიდი ოჯახია, რომელიც მშობლიური ქალაქის ფერებს იცავს...

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ბეტისი | : | სოსიედადი |
| რასინგი | : | რეალი |
| ხვალ | | |
| ხეტაფე | : | ვილიარეალი |
| ბარსელონა | : | მალიორკა |
| ხიმნასტიკი | : | სარაგოსა |
| სელტა | : | დეპორტივო |
| ოსასუნა | : | უელვა |
| ვალენსია | : | სევილია |
| ბილბაო | : | ესპანიოლი |
| ატლეტიკო | : | ლევანტე |

# ესპანეთი

## ბარსა აირია: რონალდინიო, დეკუ და ეტოო ვარჯიშებს თავიანთი ნებით აცდენენ!

**მადრიდის** „რეალი“ „ბარსელონას“ მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება. კასტილიელებმა წინა ტურში „ოსასუნა“ ამოაყირავეს და ფაბიო კაპელოს ნათქვამი, პრიმერას ყველა დარჩენილ მატჩს ფინალებივით ვითამაშებთო, კიდევ ერთხელ გაამართლეს.

„რეალის“ მოსისხლე „ბარსამ“ კი „სარაგოსასთან“ წააგო და ამით ლა ლიგას კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა.

დღეს სამეფო თეთრებს „ელ სარდინეროზე“ „რასინგთან“ რობერტო კარლოსი და დევიდ ბექემი დააკლდებიან, ასევე რაულის, ტორესის და სალგადოს თამაშიც საეჭვოა.

„რასინგსაც“ ორი ქულა აკლდება მიზნამდე, საევროტურნირო ადგილებამდე. მიგელ ანხელ პორტუგალის გუნდი ამ სეზონში მშვენიერად თამაშობს და მისი მთავარი იარაღი, გიგანტი ჟიგიჩის და ციცქნა მუნიტისის შემტევი დუეტი მწყობრშია.

„ბეტისი“ „სოსიედადს“ მასპინძლობს. ანდალუზიელებს კაპი და ასუნსაო გამოუჯანმრთელდნენ და ალბათ ბასკებთან ითამაშებენ. „სოსიედადი“ მძიმე დღეშია და 7 ქულა სჭირდება თავის გადასარჩენად.

„ლევანტეს“ „ატლეტიკოს“ „ვისენტე კალდერონზე“ ხვალ ტრავმირებული ჰარტი გამოაკლდება, ხოლო „ხეტაფეში“ „ვილიარეალთან“ მატჩის წინ გიზასთან დაკავშირებული სიტუაცია აწუხებთ — მადრიდელთა საუკეთესო მოიერიშემ უკვე მერამდენეჯერ თქვა, კლუბი უნდა დავტოვოო.

„ვილიას“ დისკვალიფიცირებული ფუენტესი და პირესი ვერ დაეხმარებიან.

„რეალის“ მსგავსად, დარჩენილი მატჩები „ხიმნასტიკსაც“ ფინალებად გადაექცა, ოღონდ ტარაგონელები პრიმერაში დასარჩენად იბრძვიან. „ხიმნასტიკი“ „სარაგოსას“ ხვდება, რომელიც დასჯილ პიკეს მოისაკლისებს.

დიდი ჯახი იქნება „ბალაიდოსზე“, სადაც ერთმანეთს მეზობლები და მარადიული მტრები, ვიგოს „სელტა“ და ლა კორუნიის „დეპორტივო“ შეხვდებიან. „სელტას“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — სახელგანთქმულმა ხრისტო სტოიჩკოვმა „ბალაიდოსზე“ მისვლისთანავე თქვა, საჩემპიონთალიგო პოზიციებზე გასვლას ნუ მომთხოვთ, აი, სეგუნდას უფსკრულიდან „სელტას“ დახსნას კი აუცილებლად ვეცდებიო.

მასპინძლებს არ ეყოლებათ ლეკი და ოუბინია, ხოლო „დეპორს“ კრისტიანი, დე გაუსმანი და არისმენდი.

„ოსასუნა“ უეფას თასზე შესანიშნავად თამაშობს, მაგრამ შინაური ჩემპიონატის ცხრილში მეთოთხმეტეა, რაც ნავარელთა ფანობას ფრიად აშფოთებს. „ოსასუნა“ მეშვიდე ადგილოსან „უელვას“ მასპინძლობს, ხოლო უეფაზე კიდევ ერთი ფავორიტი „ესპანიოლი“ სეგუნდასთან ახლომყოფ „ბილბაოს“ ჩააკითხავს ბასკურ „სან მამესზე“.

„ბარსელონაში“ არეულობაა — ოფიციალური ინფორმაციით, რონალდინიო კლუბის ვარჯიშებზე ავადმყოფობის გამო არ ცხადდება, თუმცა ესპანურმა გაზეთებმა დაწერეს, რომ კლუბში დისციპლინა ნულზეა დასული და რონი, დეკუ და ეტოო ვარჯიშებზე როცა უნდათ, მაშინ მიდიან... ხვალ „მალიორკასთან“ რონალდინიო არ ითამაშებს — კიჭას გრიპი აქვს, თუმც ეს, როგორც აღვნიშნეთ, ოფიციალური ცნობაა.

„ვალენსია“ და „სევილია“ „მესტალიაზე“ ითმებენ. „ღამურები“ ლიგას გამოეთიშნენ და ყურადღების გადატანა მარტო პრიმერაზე მოუწევთ. „სევილია“ უეფას თასზე ჩაუქადაა, თუმცა „მესტალიას“ „ტოტენჰემთან“ ბრძოლით დაღლილი ჩააკითხავს...

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | 3:3 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 3:0 | 2:0 | | | 2:1 | 4:0 | | 3:0 | | 3:0 | | 3:1 | 1:0 | 3:0 | 29 | 16 | 8 | 5 | 59:27 | 56 | 11 | 3 | 0 | 35:9 | 36 | 5 | 5 | 5 | 24:18 | 20 |
| 2 | სევილია | 2:1 | | 2:1 | | 3:0 | 3:1 | | 0:0 | | 1:0 | 4:0 | | 1:2 | 2:0 | 3:2 | | 4:0 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 29 | 16 | 7 | 6 | 48:24 | 55 | 11 | 2 | 1 | 29:8 | 35 | 5 | 5 | 5 | 19:16 | 20 |
| 3 | რეალი | 2:0 | | | 1:0 | | 1:1 | 0:3 | 3:1 | | 1:1 | | 0:0 | | 2:0 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 2:0 | 2:0 | 29 | 16 | 6 | 7 | 41:25 | 54 | 7 | 4 | 3 | 17:10 | 25 | 9 | 2 | 4 | 24:15 | 29 |
| 4 | სარაგოსა | 1:0 | 2:1 | | | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 3:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:1 | | 2:2 | | 3:2 | 3:0 | 29 | 14 | 8 | 7 | 43:29 | 50 | 10 | 3 | 2 | 25:11 | 33 | 4 | 5 | 5 | 18:18 | 17 |
| 5 | ვალენსია | 2:1 | | 0:1 | | | 3:1 | | 0:2 | 3:2 | 2:0 | 4:0 | | 3:1 | 1:0 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 1:0 | | 4:0 | 29 | 15 | 5 | 9 | 40:29 | 50 | 11 | 1 | 2 | 29:10 | 34 | 4 | 4 | 7 | 11:19 | 16 |
| 6 | ატლეტიკო | | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | | 1:0 | | | 1:1 | 0:0 | 29 | 13 | 8 | 8 | 34:24 | 47 | 7 | 5 | 3 | 17:11 | 26 | 6 | 3 | 5 | 17:13 | 21 |
| 7 | უელვა | 0:4 | 1:3 | | | 2:0 | 1:0 | | | | 1:2 | 1:1 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | | 0:1 | 4:2 | 1:0 | 2:1 | 29 | 13 | 6 | 10 | 40:38 | 45 | 8 | 2 | 4 | 20:16 | 26 | 5 | 4 | 6 | 20:22 | 19 |
| 8 | რასინგი | 0:3 | 0:0 | | 0:2 | 1:0 | 0:1 | 4:3 | | 1:1 | 1:0 | | 2:1 | | 1:0 | | 5:4 | | 1:1 | 1:0 | 4:1 | 29 | 11 | 11 | 7 | 35:34 | 44 | 8 | 3 | 3 | 21:17 | 27 | 3 | 8 | 4 | 14:17 | 17 |
| 9 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:2 | 1:1 | | 0:1 | 2:2 | | | | 1:1 | 3:1 | 0:0 | | 3:2 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 0:1 | 29 | 10 | 11 | 8 | 32:31 | 41 | 6 | 5 | 4 | 20:16 | 23 | 4 | 6 | 4 | 12:15 | 18 |
| 10 | ხეტაფე | 1:1 | 0:0 | 1:0 | 2:2 | 3:0 | | 1:1 | 1:0 | 0:1 | | 2:0 | | 1:0 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | | | 29 | 10 | 9 | 10 | 25:23 | 39 | 7 | 7 | 1 | 16:6 | 28 | 3 | 2 | 9 | 9:17 | 11 |
| 11 | დეპორტივო | 1:1 | | 2:0 | 3:2 | | 1:0 | | 0:0 | 0:0 | 1:0 | | 2:0 | 1:0 | | 0:1 | 0:2 | 0:0 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 29 | 10 | 9 | 10 | 22:30 | 39 | 8 | 4 | 3 | 14:7 | 28 | 2 | 5 | 7 | 8:23 | 11 |
| 12 | ვილიარეალი | | 0:0 | 1:0 | 3:2 | 0:1 | 0:1 | 0:1 | | 0:0 | 1:0 | 0:2 | | 2:1 | 1:4 | 3:2 | | 1:1 | | 1:1 | 2:0 | 29 | 10 | 8 | 11 | 29:36 | 38 | 6 | 4 | 5 | 15:16 | 22 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| 13 | მალიორკა | 1:4 | | 0:1 | 2:1 | | 0:0 | 2:1 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 0:0 | 1:2 | | | 2:0 | 1:3 | 3:1 | 2:2 | 0:0 | | 29 | 10 | 6 | 13 | 31:40 | 36 | 6 | 4 | 5 | 18:17 | 22 | 4 | 2 | 8 | 13:23 | 14 |
| 14 | ოსასუნა | 0:0 | 0:0 | 1:4 | | 1:1 | | | 0:1 | 0:2 | 0:2 | 4:1 | | 3:0 | | 5:1 | 1:1 | 2:1 | 0:1 | | 2:0 | 29 | 10 | 5 | 14 | 34:35 | 35 | 5 | 4 | 5 | 19:15 | 19 | 5 | 1 | 9 | 15:20 | 16 |
| 15 | ბეტისი | 1:1 | 0:0 | 0:1 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 0:0 | 1:1 | 1:1 | | 1:1 | 3:3 | 0:1 | | | 3:0 | 2:1 | 1:0 | | | 29 | 7 | 12 | 10 | 29:35 | 33 | 4 | 8 | 3 | 16:13 | 20 | 3 | 4 | 7 | 13:22 | 13 |
| 16 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | 0:0 | 1:0 | 1:4 | 4:2 | 0:0 | | 2:0 | | 0:1 | | 0:3 | 1:2 | | | 0:1 | 1:1 | 0:2 | 29 | 7 | 8 | 14 | 32:45 | 29 | 3 | 3 | 8 | 12:22 | 12 | 4 | 5 | 6 | 20:23 | 17 |
| 17 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | 1:4 | 0:0 | | 0:3 | 2:1 | 2:0 | 0:0 | | 2:0 | 0:2 | 0:1 | | 1:1 | 0:0 | | 1:1 | 2:0 | | 29 | 6 | 11 | 12 | 24:39 | 29 | 4 | 6 | 5 | 14:18 | 18 | 2 | 5 | 7 | 10:21 | 11 |
| 18 | სელტა | 2:3 | 1:2 | 1:2 | 1:1 | 3:2 | 1:3 | 1:2 | 2:2 | 0:2 | | | 1:1 | | 0:2 | | 1:1 | | | 0:0 | 1:1 | 29 | 6 | 9 | 14 | 30:44 | 27 | 1 | 6 | 7 | 15:24 | 9 | 5 | 3 | 7 | 15:20 | 18 |
| 19 | სოსიედადი | | 1:3 | 1:2 | 1:3 | 0:1 | | 2:3 | | 1:1 | 0:0 | 0:1 | 0:1 | 3:1 | 2:1 | 0:0 | 0:2 | 1:0 | | | 3:2 | 29 | 4 | 9 | 16 | 20:37 | 21 | 4 | 3 | 8 | 15:21 | 15 | 0 | 6 | 8 | 5:16 | 6 |
| 20 | ხიმნასტიკი | | 1:0 | 1:3 | | 1:1 | | 1:1 | 2:2 | 4:0 | 1:3 | 0:0 | | 2:3 | 2:3 | 0:1 | 2:3 | 2:1 | 1:2 | | | 29 | 5 | 6 | 18 | 29:52 | 21 | 3 | 4 | 7 | 20:23 | 13 | 2 | 2 | 11 | 9:29 | 8 |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

### ინგლისი. პრემიერლიგა

14 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9 | არსენალი-ბოლტონი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 18:00 | 11 | სიტი-ლივერპული | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 18:00 | 13 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 18:00 | 14 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 18:00 | 15 | რედინგი-ფულემი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 18:00 | 16 | შეფილდი-ვესტ ჰემი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |

15 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 17 | უიგანი-ტოტენჰემი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 18:00 | 18 | ევერტონი-ჩარლტონი | 1.70 | 3.50 | 4.80 | 1.14 | 1.25 | 2.02 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

14 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 32 | ბირმინგემი-საუთჰემპტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 33 | კრ. პალასი-ვულვერჰემპტონი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 34 | კარდიფი-სტოუკი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 18:00 | 35 | ქოვენტრი-პრესტონი | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:00 | 36 | ჰალი-კოლჩესტერი | 2.35 | 3.30 | 2.70 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 37 | იფსვიჩი-დერბი | 2.90 | 3.20 | 2.15 | 1.52 | 1.23 | 1.28 |
| 18:00 | 38 | ლიდსი-ბარნსლი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:00 | 39 | ლესტერი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| 18:00 | 40 | ლუტონი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| 18:00 | 41 | საუთენდი-ბერნლი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 18:00 | 42 | სანდერლენდი-ქპრ | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |

### ინგლისი. I ლიგა

14 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 55 | ბლეკპული-ნორთჰემპტონი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| 18:00 | 56 | ბორნმუთი-სუონსი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 18:00 | 57 | ბრენტფორდი-ნოტინგემი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 18:00 | 58 | ბრაიტონი-ბრედფორდი | 2.00 | 3.30 | 3.25 | 1.24 | 1.23 | 1.63 |
| 18:00 | 59 | ბრისტოლი-იოვილი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 60 | ჩესტერფილდი-ჯილინგემი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 61 | ლეიტონი-დონკასტერი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 62 | მილუოლი-ტრანმერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 63 | ოლდემი-ჩელტენემი | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 64 | პორტ ვეილი-ქრიუ | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 65 | როტერჰემი-კარლაილი | 2.65 | 3.20 | 2.40 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 18:00 | 66 | სკანთორპი-ჰადერსფილდი | 1.43 | 3.70 | 7.00 | 1.03 | 1.18 | 2.42 |

### ინგლისი. II ლიგა

14 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 79 | აკრინგტონი-გრიმსბი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 80 | ბარნეტი-როვერსი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 81 | ბური-სუინდონი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 18:00 | 82 | ჰერეფორდი-ბოსტონი | 2.05 | 3.20 | 3.25 | 1.24 | 1.25 | 1.61 |
| 18:00 | 83 | ლინკოლნი-რექსემი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 18:00 | 84 | მაკლსფილდი-სტოკპორტი | 2.55 | 3.20 | 2.50 | 1.41 | 1.26 | 1.40 |
| 18:00 | 85 | მენსფილდი-როჩდეილი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 86 | დონსი-დარლინგტონი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 87 | ნოტსი-უოლსოლი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 88 | ტორკი-პიტერბორო | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 18:00 | 89 | უიკომბი-ჰარტლპული | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |

15 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 90 | ჩესტერი-შრიუსბერი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |

### ინგლისი. კონფერენსი

14 აპრილი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
